# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 28 აპრილი 2005 №94 (2417) ფასი 50 თეთრი


## ჟირესი და გურული თბილისში არიან

საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელები, ალენ ჟირესი და გია გურული გუშინ თბილისში ჩამოვიდნენ, დღეს დილით ფეხბურთის ფედერაციაში მივლენ, მერე კი გლდანში პირველი ლიგის „ამერი“ — „მალაროელის“ მატჩზე დასწრებას გეგმავენ.



## გიორგი ნემსაძე: ჯერ ხალხი, მერე პოსტი

2



## ფიტნეს შოუ თბილისში

14

# სავარძლისკენ ზურაბ პეტრიაშვილმაც გაიწია

## ფეხბურთის ქომაგთა ლიგას ყრილობამდე ყრილობა უნდა

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კიდევ ერთი კანდიდატი გაცხადდა: ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგის თავკაცი ზურაბ პეტრიაშვილი. ეს ინფორმაცია ჟურნალისტთა სახლში გამართულ ქომაგთა ლიგის პრესკონფერენციაზე მოგვაწოდეს, სადაც, იცოცხლეთ, სხვა ბევრი საინტერესოც ითქვა და, ნაკლები შანსია, მაგრამ ეგებ საარჩევნო კამპანიამ კალაპოტი იცვალოს.

ჟურნალისტთა სახლში იყო საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, ჭადრაკის ფედერაციის პირველკაცი და ქომაგთა ლიგის საპატიო პრეზიდენტი გურამ აბსანძე, ასევე ლანჩხუთის „გურიას“ ვეტერანი ფეხბურთელები, რომლებსაც ზურაბ პეტრიაშვილმა გმირები უწოდა.

მე-3 გვერდი



# პრემიერლიგა ჩემპიონთა ლიგაში

## პრემიერა დიდი ვერაფერი



# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005
## ნახევარფინალი. პირველი მატჩი

ლონდონი. „სტემფორდ ბრიჯი". 40 500 მაყურებელი

## ჩელსი 0:0 ლივერპული

**ჩელსი**

1 ჩეხი

2 ჯონსონი 6 რ. კარვალიუ 26 ტერი 13 გალასი

4 მაკელელე

30 ტიაგუ 8 ლამპარდი

22 გუდიონსენი 10 ჯ. კოული

15 დროგბა

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

შეცვლა
ტიაგუ — 16 რობენი (59),
კოული — 9 კეჟმანი (78)

**ლივერპული**

1 დუდეკი

3 ფინანი 23 კარაგერი 4 ჰიიპია 21 ტრაორე

25 ბიშკანი 14 ხაბი ალონსო

10 ლუის გარსია 8 ჯერარდი 6 რიისე

5 ბაროში

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

შეცვლა
ბაროში — 9 ჯ. სისე (65), ბიშკანი — 7 კიუელი (86),
ლუის გარსია — 11 შმიცერი (90)

გაფრთხილება: ბიშკანი (57), კოული (59), კეჟმანი (79), ხაბი ალონსო (87)
მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)

ჯარიმა: 19-18; კუთხური: 6-2; კარისკენ დარტყმა: 5-5; კარში დარტყმა: 1-2; თამაშგარე: 7-3

**ლონდონში**, „სტემფორდ ბრიჯზე" „ჩელსიმ" „ლივერპულს" უმასპინძლა და თებერვალში გამართული ლიგის თასის ფინალისგან განსხვავებით, ვერ მოუგო.

იმის მიუხედავად, რომ გუშინდელი მატჩი რომელიმე ინგლისური შეჯიბრებისა არ იყო, შინაარსით, სტილითა და ესთეტიკით პირწმინდად ალბიონური რამ გახლდათ. ერთადერთი, რაც შეიძლება კაცმა იფიქრო, ის არის, თითქოს შეხვედრა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალური ეტაპისა რომ არ ყოფილიყო, მეტოქეები დაცვას სულ ოდნავ ნაკლებ ყურადღებას დაუთმობდნენ და მაყურებელს უფრო გაახალისებდნენ, მაგრამ ესეც მეტისმეტად თამამი ვარაუდი გახლავთ.

სახიფათო მომენტები ორივე მხარემ პირველ ტაიმში უფრო შექმნა, თუნდაც ლონდონელთაგან დიდიე დროგბასა და ფრენკ ლამპარდის, ხოლო ლივერპულელთაგან მილან ბაროშის ეპიზოდები გავიხსენოთ.

ახლა ყველაფერი მომდევნო სამშაბათს, „ენფილდზე" გადაწყდება.



ლივერპულელმა ლუის გარსიამ და ლონდონელმა უილიამ გალასმა ერთმანეთს არაფერი დაუთმეს

### ინგლისი
პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
ნიუკასლი 0:0 მიდლსბრო

### გერმანია
მეორე ბუნდესლიგა
გადადებული მატჩი
ალენი 1:3 ბურგჰაუზენი

### უნგრეთი
ბორსოდი ლიგა
XXIV ტური
ტატაბანია 2:0 ბიკეშჩაბა
ზალაეგერსეგი 2:0 ნირეღიჰაზა
დებრეცენი 3:0 შოპრონი
ფერენცვაროში 1:1 უიპეშტი
დიორ ეტო 1:1 მტკ
ჰონვედი 1:1 კაპოშვარი
პეჩი 1:0 ვაშაში
დიოშდიორი 3:1 ვიდეოტონი

### საბერძნეთი
თასის 1/2 ფინალი
საპასუხო მატჩები
ძსანთი 0:2 *არისი* (2:1)
*ოლიმპიაკოსი* 2:1დ.დ.(0:1) აეკ (1:0)

### შვეიცარია
სუპერლიგა
გადადებული მატჩები
თუნი 5:1 ციურიხი
ძსამაქსი 2:1 სენტ გალენი
იანგ ბოისი 1:1 აარაუ
ჩელენჯლიგა
გადადებული მატჩები
კრიენსი 0:0 კონკორდია
სიონი 1:0 ბელინცონა
ვილი 2:1 ბადენი

### სლოვაკეთი
პირველი ლიგა. XXVI ტური
პეტრჟალკა 3:1 ინტერი
ბანსკა ბისტრიცა 1:1 ტრენჩინი

### დანია
I დივიზიონი. XXV ტური
დალუმი 0:2 აკადემისკი
ჰელერუპი 1:1 სიონდერიულანდი
სკიოლდი 2:1 კიოგე
ფრემადი 1:1 ჰორსენსი
ნესტვედი 0:4 ფრედერისია
ნიკიობინგი 0:1 ბრიონსჰიოი
ვაილე 2:1 ბ-93 კოპენჰაგენი

### ხორვატია
თასის
ნახევარფინალი
საპასუხო მატჩები
ოსიეკი 1:1 *ჰაიდუკი* (1:2)
ვარტეძსი 2:3 *რიეკა* (2:3)

### რუსეთი
თასის
ნახევარფინალი
პირველი მატჩი
ხიმკი 2:0 ამკარი

### ავსტრია
თასის მეოთხედფინალი
სენტ პოლტენი 0:6 *აუსტრია*

### პოლონეთი
პირველი ლიგა
გადადებული მატჩი
ლეხი 1:1 პოგონი

### სლოვენია
თასის ნახევარფინალი
საპასუხო
მატჩი
ნაფტა 0:1 *ნოვა გორიცა* (0:2)

# გიორგი ნემსაძე: ჯერ ხალხი, მერე პოსტი
## ნაკრების თვალი კაპიტანია

*ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატმა გიორგი ნემსაძემ წინასაარჩევნო კამპანია ერთი კვირის წინ დაიწყო. ის ჯერ იმერეთში იყო და იქაურებს შეხვდა, შემდეგ კი გზა ფოთისკენ განაგრძო. მოკლედ, გიორგი ნემსაძე, საქართველოს ნაკრების ყველაზე სტაჟიანი ფეხბურთელი და კაპიტანი, საქმეს შეუდგა. ფეხბურთის ფედერაციაში პრეზიდენტობაზე ოფიციალური განაცხადი ნემსაძეს ჯერ არ შეუტანია, თუმც საამისოდ სამი კვირა კიდევ აქვს და, ბუნებრივია, არც ჩქარობს*



— დღესდღეობით წინასაარჩევნო ამბებით ვარ დაკავებული. მსურს, ვესაუბრო ქართულ ფეხბურთში ჩახედულ ხალხს და მათი პრობლემები შევისწავლო. ვიყავი ქუთაისში, ფოთში, შევხვდი ადგილობრივი კლუბების და რეგიონული ფედერაციების წარმომადგენლებს, მსაჯებს... საინტერესო იყო მათთან საუბარი, ბევრი საჭირბოროტო საკითხი განვიხილეთ — გვითხრა გიორგი ნემსაძემ

**— პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატურა ოფიციალურად აქამდე რატომ არ დაადასტურეთ?**

— განაცხადის შეტანის ვადა ხომ 20 მაისამდეა. იქამდე დრო საკმაოა, კიდევ ბევრი შეხვედრა მაქვს დაგეგმილი.

**— გიორგი ნემსაძის კანდიდატურას ფედერაციის რომელი სუბიექტი წარადგენს?**

— ვფიქრობ, ეს პრობლემა არ იქნება. შესაძლოა, ჩემი კანდიდატურა თბილისის „დინამომ" წამოაყენოს.

**— კანდიდატურის წარდგენას არ ეჩქარობო, თქვით. იმედოვნებთ, რომ 20 მაისამდე ხმების საჭირო რაოდენობას შეიგულებთ?**

— რა თქმა უნდა.

**— შესაძლო კონკურენტებს ჯერ არ შეხვედრიხართ?**

— ვლადიმერ გუცაევსა და ნოდარ ახალკაცს შევხვდი, მაგრამ მნიშვნელოვანი არაფერი გვითქვამს. ქართული ფეხბურთის აწმყოსა და მომავალზე ვისაუბრეთ. წინასაარჩევნო ამბებზე ბევრი ლაპარაკი არ ყოფილა.

**— თუ პრეზიდენტად აგირჩიეს, რა იქნება პირველი, რასაც გიორგი ნემსაძე გააკეთებს?**

— ერთი და ორი სიტყვით ამას ვერ ვიტყვი.

**— მოკლედ გვითხარით.**

— ფეხბურთის ფედერაციის სამზარეულოში უკეთ ჩავიხედები, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებს შევხვდები და ჩვენი ფეხბურთის პრობლემებს გავაცნობ. ვფიქრობ, მთავრობა სერიოზულად უნდა დაინტერესდეს ფეხბურთით.

**— წინასაარჩევნო კამპანია ახლახან დაიწყეთ. ამასობაში კი, თქვენს კონკურენტებს მხარდამჭერები უკვე შეგულებული ჰყავთ. იმ ხალხთან შეხვედრასაც ფიქრობთ, რომლებიც სხვათა ბანაკში არიან?**

— ყველას აზრს პატივს ვცემ და, რა თქმა უნდა, მათაც შევხვდები. მთავარია, საერთო პრობლემებზე ვისაუბროთ და ქართული ფეხბურთი განვითარების სწორ გზაზე ერთად დავაყენოთ.

**— საფეხბურთო კარიერის ნახევარზე მეტი უცხოეთში გაატარეთ. ჩავთვალოთ, რომ ნემსაძეს მხარდამჭერები საზღვარგარეთაც ჰყავს?**

— არა, წინასაარჩევნოდ უცხოეთში ჩემს მხარდამჭერებს ნუ ეძებთ, თუმც, თუ არჩევნებში გავიმარჯვე, ჩემი უცხოელი პარტნიორები ქართულ ფეხბურთს აუცილებლად გამოადგებიან.

**— როგორც კახა კალაძემ გვითხრა, საქართველოს ნაკრების ფეხბურთელთა უმეტესობა სწორედ თქვენი მხარდამჭერია...**

— ჩვენ, ზოგადად, ქართულ ფეხბურთში არსებული პრობლემების მოგვარების ერთნაირი ხედვა გვაქვს. საგანგებოდ კი არც ერთ ლეგიონერს არ შევხვედრივარ. ისინი, უბრალოდ, ჩემი თანამოაზრეები არიან.

**— ახლა წინასაარჩევნო კამპანიით კი ხართ დაკავებული, მაგრამ... გიორგი ნემსაძე მოედანს აღარ დაუბრუნდება?**

— აღარ დაუბრუნდება. გადაწყვეტილება საბოლოოა, ფეხბურთელის კარიერა დავამთავრე. ერთხელ ვთქვი და სიტყვას არ გადავალ.

**კობა ინასარიძე**

# ზურაბ პეტრიაშვილი: ჩვენი კოზირი სუფთა ხელებია

## ფეხბურთის ქომაგთა ლიგას ყრილობამდე ყრილობა უნდა

**გურამ აბსანძე** ფედერაციის უილაჯობას შეეხო — რაც დღეს ქართულ ფეხბურთშია, ამასთან შეგუება არ შეიძლება, შესაცვლელია მართვის სისტემა, წესდებები. მჯერა, ეროვნული კაცი მივა ფედერაციის სათავეში და ქართული ფეხბურთის აღორძინებას დაიწყებსო.

ზურაბ პეტრიაშვილს მისეულ სამოქმედო პროგრამაზე დავეკითხეთ, რაზეც მან პირდაპირ თქვა — ჩვენი კოზირი ზნეობაა, სუფთა ხელებით ვმუშაობთო. ახალმა კანდიდატმა მთავრობის როლზეც გაამახვილა ყურადღება, საარჩევნო მარათონში ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორი სწორედ ეგ არისო.

„ამ ფედერაციას არც მთავრობა ენდობა, არც ბიზნესმენები. მერაბ ჟორდანიას საპატიო პრეზიდენტად უფრო ალვიქვამდი, რადგან დროის უმეტეს ნაწილს შვეიცარიაში ატარებდა, აქ კი ვალერი ჩოლარია მართავდა სიტუაციას. გენერალურ მდივანს ისეთი დისკრიმინაციული წესდებები აქვს, მსოფლიოში ანალოგი არ არსებობს. ჩოლარია სულ ამბობს, ფიფა-უეფა გვეხმარებაო, მაგრამ მწვრთნელთა მომზადების კურსები და მსაჯთა ეკიპირებაც ფასიანი იყო.

...ფედერაციაში კაციშვილი ვერ მოინახა, საქართველო — თურქეთის მატჩში ვაიგულშემატკივართა ატეხილი დებოშის გამო, თურქებისთვის ბოდიში რომ მოეხადა. ისიც დანამდვილებით, ვიცი, რომ ეს არეულობა გარკვეული ძალების მიერ იყო პროვოცირებული, რადგან თურქეთთან და საბერძნეთთან კარგი ურთიერთობა არ სურთ. სამაგიეროდ, ჩოლარია სულ რუსებისკენ იყურება, მუდმივად ისმის ვინმე ვალერი ჩუხრის გვარი და შთაბეჭდილება მრჩება, სფფ რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის გარეშე ნაბიჯს ვერ დგამს".



პეტრიაშვილმა და აბსანძემ თქვეს, ოღონდ პატიოსნება იყოს, თორემ 1990 წელს ამაზე სერიოზულ ხალხთან გვქონდა ბრძოლა და მაინც დავამარცხეთო. რით დაიწყებს მუშაობას პეტრიაშვილი, თუ იგი პრეზიდენტი გახდა?

„პრიორიტეტი იგივე იქნება, რასაც სხვა კანდიდატები ასახელებენ. როდესაც სახელმწიფო ჩვენს სუფთაკაცობას დაინახავს, გვერდში დაგვიდგება. კლუბების ლიცენზირებაა საჭირო. ასევე უპრიანი იქნება, კლიმატის თვალსაზრისით ჩემპიონატი გაზაფხული-შემოდგომის სისტემით ტარდებოდეს. ისე, ზოგადად, კლუბები თუ წელგამართულები იქნებიან, უმაღლეს ლიგაში 16 გუნდის თამაშს ვამჯობინებ".

ცხადია, ზურაბ პეტრიაშვილმა კონკურენტებზეც ილაპარაკა, მათგან ყველაზე ღირსეულად კი გიორგი ნემსაძე მიიჩნია — გიორგი ბრწყინვალე პიროვნებაა, მას ნაღდად აქვს კანდიდატურის წამოყენების მორალური უფლებაო. ნოდარ ახალკაცზე პეტრიაშვილი არც ცუდი აზრისა და არც კარგის, ახალკაცი კი იყო ჩამოსული, მაგრამ მისი მისწრაფებები ვერ დავინახეო. რაც შეეხება ვლადიმერ გუცაევს... „ის დიდი ფეხბურთელი იყო, გუცაევს პიროვნულად არ შევეხები, მაგრამ პრინციპები ჩემთვის მიუღებელი აქვს. ბატონ ვოვას ხუთი ისეთი სუბიექტი უჭერს მხარს, რომელთა უკან ჩოლარია დგას. ჩოლარიასთან მოკავშირე კაცის პრეზიდენტობას კი ვერ მივესალმები".

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ზურაბ პეტრიაშვილს ნაღდად არა აქვს რეალური ბერკეტები, რათა საპრეზიდენტოდ თუნდაც პატარა შანსი ჰქონდეს. მან ვერ უპასუხა კითხვას, ჰყავს თუ არა დელეგატებიდან მხარდამჭერი. პეტრიაშვილმაც და აბსანძემაც კარგად იციან, რომ ამ დელეგატებით გამარჯვებას ვერ მოიპოვებენ. ჰოდა, ქომაგთა ლიგამ ახალი რიგგარეშე ყრილობის მოწვევა მოითხოვა, სადაც დელეგატების შეცვლა და მათი რაოდენობის გაზრდა დადგება დღის წესრიგში. პეტრიაშვილი გაოცებულია, რატომ არ უნდა ჰქონდეთ ხმის უფლება პირველი ლიგის გუნდებს, ან რა კრიტერიუმით დელეგატობს ფედერაციის პრესკავშირი.

„სად გაგონილა, ქართული ფეხბურთის ბედი მხოლოდ 26-მა კაცმა გადაწყვიტოს, მათი უმეტესობა სულ ჩოლარიას ხალხია და საკუთარი აზრი არ გააჩნიათ, რასაც უბრძანებენ, იმას აკეთებენ — აღშფოთდა აბსანძე.

...მაგრამ ერთი ხელის მოსმით დელეგატთა რაოდენობის გაზრდა არ გამოვა, ფიფაუეფა წესდების დარღვევას არ გვაპატიებს. ეს რიგგარეშე ყრილობის მოწვევის შემთხვევაში მოხდება, სადაც აღმასკომის 21 წევრიდან 14-მა (ანუ, ორმა მესამედმა) უნდა დაუჭიროს მხარი წესდების შეცვლას.

გურამ აბსანძე, ზურაბ პეტრიაშვილი და ქომაგთა ლიგის წევრები სიტყვებს ალალბედზე არ ისროდნენ. ნაკლებად მოსალოდნელია, მაგრამ ვინ იცის, 11 ივნისამდე კიდევ ერთი ყრილობა გაიმართოს. ამ შემთხვევაში პეტრიაშვილის შანსები დღევანდელივით „გაფითრებული" შესაძლოა აღარ იყოს...

**ილია ნანობაშვილი**

# პროფლიგამ არჩევნები 23 მაისს დანიშნა

## დიმიტრი რამიშვილი: კანონი და საქმე

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობის მოახლოებასთან ერთად საპრეზიდენტო ინტრიგა მატულობს. ისმის ათასი ჭორ-მართალი, ვარაუდი, პრეზიდენტობის კანდიდატები მხარდამჭერებს ეძებენ, ფიქრობენ — ღირს თუ არა არჩევნებში მონაწილეობა, ზოგიც მოვლენების განვითარებას ელის.*

*ამ წინასაარჩევნო ორომტრიალისას კი ისეთი ხალხის სიტყვაც ერთიორად ფასობს, საპრეზიდენტო ამბებს თითქოს გარედან რომ უცქერენ, საფეხბურთო სამზარეულოში ძალიან კარგად ჩახედულები არიან, თუმცა მიზეზთა გამო არჩევნებში თავად მონაწილეობას არ აპირებენ. მაგალითად, პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი. როცა მას შევხვდით, ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგის პრეზიდენტ ზურაბ პეტრიაშვილს საკუთარი კანდიდატურა წამოყენებული არ ჰქონდა და, ბუნებრივია, პროფლიგის პრეზიდენტისთვის პეტრიაშვილის თაობაზე არაფერი გვიკითხავს*



**— თქვენი გადაწყვეტილება საბოლოოა, ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებთ?**

— მონაწილეობას არ ვაპირებ. მიმაჩნია, რომ პროფლიგაში მუშაობით ქართულ ფეხბურთს მეტ სარგებლობას მოვუტან.

**— ფედერაციის პრეზიდენტობის სურვილი, მართალია, ოფიციალურად ჯერ მხოლოდ ვლადიმერ გუცაევმა დაადასტურა, მაგრამ, სავარაუდოდ, იგივეს გიორგი ნემსაძე, რევაზ არველაძე და ნოდარ ახალკაციც აპირებენ. პროფლიგა რომელი კანდიდატის ბანაკშია?**

— არც ერთის. პროფლიგა მოვლენების განვითარებას თვალყურს ადევნებს, დეტალურად სწავლობს კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამებს, ველით მათთან შეხვედრებს, აზრთა გაზიარებას. ჩვენთვის მთავარია, როგორი შეხედულება აქვთ კანდიდატებს ქართული ფეხბურთის კრიზისიდან გამოყვანასთან დაკავშირებით. მოკლედ, გადაწყვეტილება ჯერ არ მიგვიღია. ალბათ ყველას შევხვდებით, ვისაუბრებთ და არჩევანს მერე გავაკეთებთ.

**— გასაგებია, მაგრამ ამ კანდიდატთა პროგრამებზე, სამომავლო გეგმებზე ნაწილობრივ ალბათ მაინც გაქვთ წარმოდგენა.**

— ნაწილობრივი წარმოდგენა საბოლოო არჩევანის გასაკეთებლად, არ კმარა. ისე კი, ყველა კანდიდატს ვიცნობ — ვლადიმერ გუცაევთან ერთად ქუთაისის „ტორპედოში" ორი სეზონი ვიმუშავე, რევაზ არველაძე პროფლიგის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი იყო და ამ საქმეში დიდი წვლილი აქვს. გიორგი ნემსაძეს ძალიან ახლოს ვიცნობ და ნოდარ ახალკაცის ოჯახსაც დიდ პატივს ვცემ. ახალკაცთან ახლო ურთიერთობა არ მაქვს, მაგრამ ვიცი, რომ საფუძვლიანი იურიდიული განათლება აქვს.

**— როგორ ფიქრობთ, ფედერაციის პრეზიდენტმა პირველი საქმე რა უნდა გააკეთოს?**

— პირველ ყოვლისა, ურთიერთობა უნდა ააწყოს ხელისუფლებასთან. კანონში ცვლილებებია საჭირო და ხელისუფალნი ამაში უნდა დაარწმუნოს. ფეხბურთს თუ მთავრობისგან რაიმე ფორმით სტიმული არ მიეცა, არაფერი გამოგვივა. დღესდღეობით საქართველოში არ არის იმდენი კომპანია, ყველა საფეხბურთო კლუბს რომ გაწვდეს და დაეხმაროს, ამიტომაც გარკვეული დოზით მათ სახელმწიფოს დახმარებაც სჭირდებათ. მაგალითად, ეკონომიკის სამინისტრომ საბიუჯეტო ორგანიზაციებს კლუბების დაფინანსება აუკრძალა, შედეგად კი გაღატაკებული „ბათუმი", ფოთის „კოლხეთი" და გორის „დილა" მივიღეთ. ამიტომაც ვამბობ, ახალმა პრეზიდენტმა პირველ ყოვლისა ხელისუფლებასთან ურთიერთობა უნდა ააწყოს, ეგებ კანონებში რაიმე შეიცვალოს.

**— ვლადიმერ გუცაევისკენ ხომ არ მიგვანიშნებთ? ერთ-ერთი კანონმდებელი ისიცაა...**

— არავისკენ არ მიგანიშნებთ. საპრეზიდენტო არჩევნებში ყველა კანდიდატი თავის თავზე იქნება დამოკიდებული. ძალიან ბევრია დამოკიდებული ახალი პრეზიდენტის პიროვნულ თვისებებზეც, ის კომუნიკაბელური უნდა იყოს, ხალხთან ურთიერთობა შეეძლოს და საქმე აკეთოს. საერთოდ კი, დიმიტრი რამიშვილი ფედერაციის აღმასკომის წევრია და ხმის უფლება არ აქვს. პროფლიგა მხოლოდ დიმიტრი რამიშვილი არ არის. 23 მაისს კონფერენციას გავმართავთ და იქ გადავწყვეტთ, ყრილობაზე ჩვენგან ხმის უფლება ვის ექნება. იმ დროისთვის კი საპრეზიდენტო განაცხადების მიღება დამთავრებული იქნება და ზუსტად გვეცოდინება, არჩევნებში რომელი კანდიდატები მიიღებენ მონაწილეობას.

**— ახალი პრეზიდენტის არჩევა პროფლიგას რაიმე პრობლემას ხომ არ შეუქმნის?**

— რა პრობლემა უნდა შეუქმნას?! პროფლიგა სტრუქტურულად ცალკეა, პროფესიული კლუბების გაერთიანებაა. არა მგონია, ფედერაციის ახალი პრეზიდენტის არჩევით პროფლიგას რაიმე საფრთხე შეექმნას.

**— ეროვნული ჩემპიონატის ორგანიზატორი სწორედ პროფლიგაა. ვლადიმერ გუცაევი კი ამბობს, ჩემპიონატში გუნდების რაოდენობა უნდა გავზარდოთო. პროფლიგის პრეზიდენტი ამ აზრს თუ ეთანხმება?**

— გუნდების რაოდენობის გაზრდა ფეხბურთის პოპულარიზაციის ხელშემწყობია, თუმც არის მეორე მხარეც — გაჭირვება როდესაც პროფლიგამ უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა ათამდე შეამცირა, ამ გადაწყვეტილებამდე ძალიან ბევრი იფიქრა, ყველაფერი აწონ-დაწონა და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო ათგუნდიანი ჩემპიონატის ჩატარება. ისე კი, თავისთავად კარგია, თუ უმაღლეს ლიგაში 18-20 გუნდი ითამაშებს.

**— უკვე მეორე სეზონია, ჩემპიონატს პროფლიგა ატარებს. პროგრესს თუ ხედავთ?**

— ეს სხვამ თქვას. ჩემი აზრით, გარკვეული პროგრესი არის, მაგრამ, რა თქმა უნდა, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მაქვს. მაგალითად იმიტომ, რომ სამ გუნდს ძალიან უჭირს. გვაწუხებს სათამაშო მოედნების პრობლემაც, რის გამოსასწორებლადაც მუშაობა უკვე დაწყებული გვაქვს. შევქმენით მოედნის საფარის გამოსაყვანი სპეციალური მეურნეობა და სექტემბრიდან ალბათ პირველ შედეგსაც მივიღებთ. მოკლედ, ვცდილობთ, ჩემპიონატის დონე ავამაღლოთ და ამ მხრივ გარკვეული პერსპექტივაც გვაქვს. ფეხბურთი ბიზნესიაო, ამბობენ. ბიზნესისთვის კი შესაბამისი პირობებია აუცილებელი, სწორი მენეჯმენტით დაწყებული, ხარისხიანი მინდვრებით დამთავრებული. კმაყოფილი მაშინ ვიქნები, როცა თამაშებზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება და გუნდებსაც ამ მხრივ შემოსავალი ექნებათ. ესეც ხომ ბიზნესის ნაწილია.

**— ერთი სიტყვით, ჯერ არ გადაგიწყვეტიათ, პროფლიგა არჩევნებში ვისი მხარდამჭერი იქნება...**

— მთავარია, რომ ფეხბურთის განვითარების საქმეში ჩვენი შეხედულებები ერთმანეთს ემთხვეოდეს, ქართული ფეხბურთის კრიზისიდან გამოსაყვანად ერთად ვიმუშავოთ.

**ჟოჟა ინასარიძე**

# საქართველოს XVI ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

მეორე ეტაპი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

## 30 ტური მიმოხილვა

# ტური ფარდასავით აიხადა

ბურუსი გაიფანტა, ფარდა აიხადა, ნათელი მოეფინა — როგორც გინდ-ათ, ისე დაარქვით, მაგრამ 30-ე ტურმა ბევრი რამ გაარკვია, მათ შორის მთავარიც: „დინამოს“ ერთი ნაბიჯილა დარჩა ჩემპიონობამდე და ვინძლო, ეს ნაბიჯი აღდგომისწინა ტურში „ტორპედოსთან“ გადადგას. კახა ცხადაძის ბიჭებმა ზედიზედ მეხუთედ მოიგეს, თანაც მდევარ „თბილისს“ დამაჯერებლად აჯობეს მისსავე „ოლიმპზე“, რითაც მეორე ადგილისთვის ბრძოლაც გაამძაფრეს.

ყველაფერს აქვს დასასრული და „ზესტაფონის“ წაუგებელი მარშიც ლოკომოტიველი გიორგი ონიანის კინკილა გოლით დასრულდა „მიხეილ მესხზე“, თავად „ლოკომოტივს“ კი უკვე სამი ქულაღა აშორებს მეორე საფეხურს.

მოიგო „სიონმა“, წააგო „კოლხეთმა“. და ეს რას ნიშნავს? იმას, რომ უპატრონოდ დარჩენილი ფოთელები ცალი ფეხით უკვე იქ არიან, სადაც არასოდეს ყოფილან — პირველ ლიგაში...





# კუბოკრულობის სიკეთე

ბოლნისის სტადიონზე სადრენაჟო მილები რომ ჩაალაგეს, მინდორი შოკოლადის კუბოკრული ფილასავით დაიხაზა, მაგრამ ამას ვინ დაეძებს: „სიონი“ — „ბათუმის“ მატჩს წვიმა არ მოჰკლებია, თამაშის წინა დღესაც წვიმდა, მაგრამ მოედანზე ტლაპოს ვერ ნახავდით, კუბოკრული მინდორი წყალს წარმატებით ისრუტავდა სადრენაჟო სისტემაში.

# კარგია, მაგრამ სველია

„ოლიმპის“ სტადიონის მოედანი საქართველოში საუკეთესო რომ არის, ეს ხომ ფაქტია, თუმც, „თბილის“ — „დინამოს“ მატჩისას გამოჩნდა, რომ არც ეს გაზონი ყოფილა მთლად უნაკლო. მოედანს, ეტყობა, დრენაჟი არ უვარგა და წყალს არ ატარებს. მატჩისას კი ამ დატბორილ გაზონზე ფეხბურთელები ერთმანეთის მიყოლებით დაშავდნენ და ლამის ყოველ წუთს აქიმობა სჭირდებოდათ. დინამოელები, დავით ოდიკაძე და შოთა კაშია სულაც შესაცვლელები გახდნენ. თავს ვერ დავდებთ, მათი ტრავმები მოედნის ბრალიაო, მაგრამ არც მთლად უამისობაა.

მოკლედ, გუშინწინ „ოლიმპზე“ ისეთი მოედანი ვერ ვნახეთ, როგორსაც ნაჩვევი ვართ.



დავით ოდიკაძის დალილავებული ფეხები

# არსაიდან ხმა, მხოლოდ ჟანის ძახილი

გაინტერესებთ, ვინ იყო ყველაზე ომახიანი გულშემატკივარი „ვიტ ჯორჯია“ — „დილას“ მცხეთურ მატჩში? ვიტელთა თავკაცი ჟანი კარნევალი. მხოლოდ მისი იტალიურ-ქართულ-რუსული ისმოდა „არმაზის“ სტადიონზე — „პასი ბურთი, ბიჩო“, „სახოკ, ჩუჩუტ უკან“... ტრიბუნებზე მხოლოდ ერთი კაცი იჯდა, დანარჩენები კი ლოჟაში ეფარებოდნენ წვიმას. მაგრამ მწვრთნელები, გუნდის ხელმძღვანელები და ჟურნალისტები ხომ გულშემატკივრებად არ ვითვლებით. მხოლოდ 12 კაცი დავთვალეთ, მათ შორის თბილისის „ამერის“ ფორმიანი ბიჭუნა, რომელიც „ვიტ ჯორჯიას“ არცერთ თამაშს არ აცდენს.

ახლა იტყვით, ამ არაფრისმომცემ და უმოტივაციო მატჩზე ვინ მივიდოდაო და სადღაც მართალიც იქნებით. ჩვენც მანდა ვართ — ბოლოს და ბოლოს, „ვიტ ჯორჯია“ საქართველოს ჩემპიონია, მაგრამ გულშემატკივართა პატარა ჯგუფიც კი არ ჰყავს...

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 30 | 20 | 4 | 6 | 63:25 | 64 |
| ტორპედო | 30 | 15 | 10 | 5 | 47:25 | 55 |
| თბილისი | 30 | 16 | 6 | 8 | 50:35 | 54 |
| ლოკომოტივი | 30 | 13 | 13 | 4 | 35:19 | 52 |
| ზესტაფონი | 30 | 14 | 4 | 12 | 32:41 | 46 |
| ვიტ ჯორჯია | 30 | 12 | 8 | 10 | 49:33 | 44 |
| ბათუმი | 30 | 8 | 11 | 11 | 32:26 | 35 |
| სიონი | 30 | 9 | 4 | 17 | 28:51 | 31 |
| კოლხეთი | 30 | 7 | 5 | 18 | 25:48 | 26 |
| დილა | 30 | 2 | 3 | 25 | 16:74 | 9 |

## მომდევნო ტური

30 აპრილი, შაბათი

ბათუმი – ვიტ ჯორჯია

დილა – თბილისი

დინამო – ტორპედო

სიონი – ლოკომოტივი

კოლხეთი – ზესტაფონი

# ბალი, რომელიც ათი შაური არ ღირს

ჩვენს ტრადიციულ მიმოხილვას შეემატა ახალი ცხრილი, რომელიც მეტ-ნაკლებად გვაძლევს სტატისტიკის თუ ანალიზის საშუალებას. მით უფრო, ყურადღებას სამ ისეთ ასპექტზე ვამახვილებთ, რაც დღევანდელ ქართულ ფეხბურთში ყველაზე აქტუალური გვგონია — ესაა მოედნების მდგომარეობა, მატჩის ორგანიზაციული მხარე და დასწრება.

მოკლედ, ამიერიდან ყოველი ტურის მერე „სარბიელი“ გამოავლენს იმ სარბიელს, რომელიც საერთო მაჩვენებლით საუკეთესო იქნება. 30-ე ტურში ეს პატივი ბოლნისურ „თამაზ სტეფანიას“ ერგო.

განვმარტავთ: შეფასების სისტემა ათბალიანია.




## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 23-მელქაძე | დინამო |
| 21-მეგრელაძე | ტორპედო |
| 12-ოდიკაძე | თბილისი / დინამო |
| 11-მარტვალაძე | ვიტ ჯორჯია |
| 10-გოგონიძე | ლოკომოტივი |
| 9-დვალი | დინამო |
| ფიფია | თბილისი |

| სტადიონი | მატჩი | მინდვრის მდგომარეობა | ორგანიზაცია | დასწრება | საშუალო ბალი |
|---|---|---|---|---|---|
| „თამაზ სტეფანია“. ბოლნისი | სიონი 2:1 ბათუმი | 8,0 | 9,0 | 5,0 | 7,3 |
| „ტორპედო“. ქუთაისი | ტორპედო 3:0 კოლხეთი | 7,5 | 7,0 | 6,5 | 7,0 |
| „ოლიმპი“. თბილისი | თბილისი 1:3 დინამო | 7,0 | 5,0 | 6,0 | 6,0 |
| „მიხეილ მესხი“. თბილისი | ლოკომოტივი 1:0 ზესტაფონი | 8,0 | 6,0 | 2,5 | 5,5 |
| „არმაზი“. მცხეთა | ვიტ ჯორჯია 4:0 დილა | 5,0 | 3,0 | 0,5 | 2,8 |

# მოერევა ალა ბენდუქიძეს?

## აქტუალური საკითხი პოსტვარდულ სივრცეში

**„მარშრუტკა" სამი ლარი ღირს და ორთაჭალიდან, ციხეებიდან გადის. მანქანაში ასულს მყისვე გცნობენ, რომ არც მარნეულელი ხარ, არც ბოლნისელი და ადვილად ხვდებიან, რომ „სიონის" თამაშზე მიდიხარ. დღეს „სიონი" იმას ეთამაშება ხო? ამგვარად გაგიბამენ საუბარს და თავს ზედმეტად არ შეგაწყენენ. ასეთი ხანმოკლე, „მარშრუტკული" საუბრები ძალიან აქტუალური იყო წინა საფეხბურთო სეზონში, როცა „სიონი" ჩემპიონობისთვისაც კი გაიქაჩა...**



კახა ბენდუქიძე

ბოლნისში შესვლისას პირველი აბრა „ჯეოსელისაა", ის ჯერ კიდევ „ვარდებამდე" დამონტაჟდა ქალაქის შესასვლელში, მაგრამ ყველაზე დიდი და ხნოვანი სტენდი შუაგულ ბოლნისშია — ილიასეული ენა, მამული, სარწმუნოება. ქალაქის მთავარი ღირსშესანიშნაობა, ცხადია, ბოლნისის სიონია, მეხუთე საუკუნის ბაზილიკა, სწორედ გამოკვეთილი ჯვრიდან მოდის გამოთქმა „ბოლნური ჯვარი".

თანამედროვე ყოფაში კი ბოლნისის ამატკრციალებელი საფეხბურთო გუნდი „სიონია", რომელმაც შარშანწინ ევროსარბიელზე, უეფას თასზეც ითამაშა სლოვაკურ „პუხოვთან".

„სიონი" 1995 წლიდან თამაშობს უმაღლეს ლიგაში, საიდანაც არასდროს გავარდნილა. საუკეთესო შედეგს 2003 წელს მიაღწია, მეხუთე ადგილზე გავიდა. ხოლო შარშან „ოქროს მატჩში" ბოლნისელი გულშემატკივრების უწესრიგობის გამო „ვიტ ჯორჯიასთან" დამარცხებულ „სიონს" ვერცხლიც ჩამოართვეს და ევროსარბიელზე მეორედ თამაშის უფლებაც. მოკლედ, შარშანდელი შედეგი „სიონს" გაუუქმეს, დღესდღეობით ბოლნისის თამაზ სტეფანიას სახელობის სტადიონიც ბოლომდე აღარ ივსება, მაგრამ „სიონი" აქტუალურობას მაინც არ კარგავს.

ფეხბურთის გარდა ბოლნისში გასართობი სხვაცაა. „ზაზეგალოჯკები", რესტორნები, კულტურისა და დასვენების პარკი და სამი კინოთეატრი, სადაც სეანსები დილასაღამოს იმართება. დილის სეანსი საბავშვოა და შესვლა უფასოა, ხარჯებს ქალაქის საკრებულო ფარავს, საღამოს კი ფილმის ნახვა ლარი ღირს. ხოლო ფეხბურთზე წასვლა ბოლნისში დღესდღეობით უფასოა.

რაც შეეხება სწავლა-განათლებას, ბოლნისში ხუთი საშუალო სკოლა, კოლეჯი და ტექნიკური უნივერსიტეტის ფილიალია. კიდევ კომპლექსური სპორტული სკოლა საფეხბურთო სექციით. ბოლნისში გოგონათა საფეხბურთო გუნდიც ჩამოუყალიბებიათ, თოთხმეტი ბოლნისელი გოგო დადის ფეხბურთზე და იქაურები იწუნებიან, რომ ბოლნისი საქართველოში ერთადერთი პერიფერიაა, სადაც გოგონათა საფეხბურთო გუნდი არსებობს.

ბოლნისი განსაკუთრებული ეთნორეგიონიცაა. რაიონში 74 ათასი კაცი ცხოვრობს, აქედან 47 900 აზერბაიჯანელია, 21 500 ქართველი, 3 400 სომეხი, 500 ბერძენი, 400 რუსი და დანარჩენი სხვადასხვა ეროვნების. მაგრამ სულ სხვა პროპორციებია ქალაქ ბოლნისში: 15 000 ბოლნისელიდან 12 070 ქართველია, 500 სომეხი, 300 ბერძენი, ამდენივე რუსი და დანარჩენი სხვადასხვა ეთნიკური წარმომადგენლობის. ასე რომ, არ უნდა გაგიკვირდეთ, ეთნიკურად არაქართული რაიონის გუნდის საშინაო მატჩებზე ეთნიკურად არაქართველებს კანტიკუნტადაც თუ ვერ აღმოაჩენთ.

მაგრამ ბოლნისური განსაკუთრებულობანი აქ როდი იწყება და მთავრდება. შვაბია — არის გერმანიაში ასეთი მხარე ყოფილი გდრის ტერიტორიაზე, სადაც მე-19 საუკუნის დასაწყისში ლუთერანული ეკლესიის მიმდევარი გერმანელები ცხოვრობდნენ და მათ პროტესტანტი და კათოლიკე თვისტომები ავიწროვებდნენ. ლუთერანი გერმანელები რუსეთის იმპერიამ შეიკედლა და ახალდაპყრობილ ტერიტორიაზე, საქართველოში შეასახლა, იმ ალაგას, რომელსაც ოდითგანვე ბოლნისი ერქვა. ისე, ლუთერანი გერმანელები მაშინ თბილისშიც, ახლანდელ ოქროსუბანში და პლეხანოვზეც დაასახლეს, პოდა, მე-19 საუკუნეში ბოლნისს რუსულ-გერმანული სახელი უწოდეს — ეკატერინსდორფი. საქართველოს გაწითლების შემდეგ ეკატერინსდორფს როზა ლუქსემბურგის პატივსაცემად ლუქსემბურგი დაარქვეს, სადაც კვლავ ცხოვრობდნენ ლუთერანი გერმანელები, ნაირგვარი ხელოსნობით, მეფუნთუშეობითა და სოფლის მეურნეობით განთქმულნი. თუმც მეორე მსოფლიო ომის დაწყებისას სტალინმა ლუქსემბურგელი გერმანელები შუა აზიაში გადაასახლა, ყველა, ვინც კი ქართველთა რძალი არ იყო. მერე, ომის დამთავრების და საბჭოთა კომუნისტების გალიბერალების შემდეგ ქართულ ლუქსემბურგს, როგორც იქნა, ბოლნისი დაერქვა.



ბოლნისელ ფანთა ყოჩი ალა ასათიანი

...„სიონის" ფინანსური სიტუაცია ხშირად იცვლებოდა. ახლა კლუბს არცთუ ურიგო ინფრასტრუქტურა აქვს. თამაშის წინა დღეს გუნდი ბოლნისის პარკის სასტუმროში იკრიბება, რაც, ფაქტობრივად, კლუბის ბაზას წარმოადგენს 25 ადგილიანი საძინებლითა და სასადილოთი. კლუბს სათამაშო მინდვრის გარდა სავარჯიშო მოედანიც აქვს სოფელ რატევანში, ბოლნისიდან ერთ კილომეტრში. „სიონსვე" ეკუთვნის მოედანი კაზრეთში, ოღონდ გასახდელებითა და საშხაპეებით მოუწყობელი. „სიონს" მეორე გუნდიც ჰყავს — „სიონი 2" რეგიონულ ლიგაში თამაშობს.

...ბოლნისელები იყვნენ თამაზ სტეფანია და ფირუზ რეხვიაშვილი, რომლებიც თბილისის „დინამოში" თამაშობდნენ 60-70-იან წლებში.

...ბოლნისში განსაკუთრებულად უყვართ „სიონის" ბოლნისელი ფეხბურთელები ადრე, ეროვნულ ჩემპიონატში ასეთები იყვნენ ჯონი ჯავახიძე, ბახვა მოსეშვილი, არჩილ მაკიაშვილი და მურთაზ გოგოლაძე, ახლანდელი „სიონიდან" კი გამორჩეული ბოლნისელი შალვა ... ანია, ვისაც სიონელთაგან ყველაზე მეტი გოლი გაუტანია უმაღლეს ლიგაში.

„სიონის" დამფუძნებლები დღესდღეობით ბოლნისის გამგეობა და სახელმწიფო შპს „მადნეული" არიან, სწორედ „მადნეულია" კლუბის მთავარი ფინანსური დონორი. „მადნეული" ბოლნისის რაიონში და?ბა კაზრეთის კარიერზე აწარმოებს სამთო სამუშაოებს „კარიერიდან" ქვემო ქართლის გუბერნატორი ლევან მამალაძე ოქროს ზოდებით რომ პოზიორობდა, ის სწორედ კაზრეთული ოქრო გახლდათ. ამავე კარიერზე წარმოებს ხმაურიანი კონცენტრატის მოპოვება.

მაგრამ ახლა ორი ისეთი კლუბი გაკოტრდა, სახელმწიფო საწარმოები რომ აფინანსებდნენ — „ბათუმი" და „კოლხეთი" და, როგორც ბოლნისში ამბობენ, შესაძლოა, ეგევე „სიონსაც" დაემართოს საქართველოს პარლამენტს არ მიუღია ისეთი კანონი, რომლითაც სახელმწიფო შპს-ს საფეხბურთო კლუბის დაფინანსება ეკრძალება, მაგრამ ბოლნისში და არა მარტო იქ ბევრს სჯერა, რომ ამგვარი შპსების მიერ საფეხბურთო კლუბებისთვის ფულადი დახმარების შეწყვეტა სახელმწიფო მინისტრ კახა ბენდუქიძის დირექტივაა. თუ ბოლნისურ-კულუარულ ინფორმაციას ვენდობით, ბოლნისში ხელისუფლების ორი ფლანგი ებრძვის ერთმანეთს — ერთს ბენდუქიძე მფარველობს, მეორეს კი ქვეყნის პრეზიდენტის იმედი აქვს. ცხადია, ბოლნისის საფეხბურთო საზოგადოება, „სიონის" ფანები და მათი მეთაური ალა, უბრალოდ ხალხი იმ ფლანგის იმედადაა, კლუბისთვის „მადნეულიდან" ფულის გადაკეტვას რომ ეწინააღმდეგება.

ამბობენ, ეს საკითხი ამ დღეებში უნდა გადაწყდეს.

**დავით თავართქილაძე**

## საქართველოს 16 ჩემპიონატი — პირველი ლიგა — მეორე წრე — 24 ტური

**გუშინდელი** მატჩებიდან სხვათაგან გამოსარჩევი თელავში ჩატარდა: „კახეთმა" თბილისური „სპარტაკი" მიიღო და 1:1 გაუგორა. ეს შედეგი დედაქალაქელებს არანაირად არ აძლევდათ ხელს, რამეთუ უმაღლესი ლიგის საგზურისთვის მებრძოლებმა კანფეტივით ორი ქულა დაკარგეს და, ვინძლო, თითზე საკბენად გაუხდეთ საქმე.

დანარჩენ მატჩთაგან საინტერესოა „ცხინვალის" მიერ „ვიტ ჯორჯიას" ძლევა და „დინამო 2"-ის ხაშურული მოგება.

**ოლიმპი 4:2 საგარეჯო**
**კახეთი 1:1 სპარტაკი**
**იბერია 0:1 დინამო 2**
**ლოკომოტივი 2 0:1 ჩიხურა**
**ცხინვალი 2:0 ვიტ ჯორჯია**
**მერანი 2:2 გურია**

**დღეს გაიმართება**

**ბორჯომი — რუსთავი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 23 | 18 | 3 | 2 | 60:24 | 57 |
| ამერი | 23 | 17 | 2 | 4 | 66:13 | 53 |
| სპარტაკი | 24 | 14 | 8 | 2 | 41:22 | 50 |
| კახეთი | 24 | 14 | 4 | 6 | 41:27 | 46 |
| ვიტ ჯორჯია | 24 | 13 | 6 | 5 | 37:19 | 45 |
| ცხინვალი | 24 | 13 | 3 | 8 | 33:25 | 42 |
| დინამო 2 | 24 | 12 | 1 | 11 | 50:39 | 37 |
| გურია | 24 | 9 | 6 | 9 | 26:35 | 33 |
| ჩიხურა | 24 | 8 | 7 | 9 | 24:26 | 31 |
| რუსთავი | 23 | 8 | 3 | 12 | 29:35 | 27 |
| ლოკომოტივი 2 | 24 | 7 | 5 | 12 | 28:38 | 26 |
| ოლიმპი | 24 | 7 | 4 | 13 | 29:39 | 25 |
| იბერია | 24 | 6 | 5 | 13 | 20:37 | 23 |
| მერანი | 24 | 6 | 4 | 14 | 28:43 | 22 |
| საგარეჯო | 24 | 3 | 5 | 16 | 19:52 | 14 |
| მაღაროელი | 23 | 0 | 4 | 19 | 11:68 | 4 |

ფეხბურთი
ფკ ამერის სკოლა
პირველი ლიგა
28 აპრილი
ოცდამეოთხე ტური
ამერი — მაღაროელი
თბილისი ჭიათურა
დასაწყისი 16 საათზე.
დასწრება უფასოა.
მის: თიანეთის გზატკეცილი 26
მატჩის მსვლელობა ონლაინ-რეჟიმში
საიტზე: www.fcameri.ge

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ნახევარფინალი. პირველი მატჩი



ჰოლანდიელებს ანდრეი შევჩენკო პირველი ტაიმის მიწურულს გადახტა



AFP მილანიდან

ალესანდრო ნესტას არყოფნაში „მილანის“ დაცვა არეული იყო

# ჰიდინკმა გასახდელში დაიფიცა

მილანი. „სან სირო“. 80 000 მაყურებელი

## მილანი 2:0 პსვ ეინდჰოვენი

1:0 შევჩენკო (42), 2:0 ტომასონი (90)

| მილანი | პსვ ეინდჰოვენი |
|---|---|
| 1 დიდა | 1 გომესი |
| 2 კაფუ, 31 სტამი, 3 მალდინი, 4 კალაძე | 2 ოიერი, 4 ალექსი, 5 ბუმა, 3 ი. ლი |
| 21 პირლო | 14 ფოგელი |
| 8 გატუზო, 20 ზეედორფი | 6 ვან ბომელი, 8 კოკუ |
| 22 კაკა | 7 პარკი |
| 7 შევჩენკო, 11 კრესპო | 11 ბისლი, 17 ფარფანი |
| მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი | მწვრთნელი: გუს ჰიდინკი |
| შეცვლა: კრესპო — 15 ტომასონი (65), პირლო — 23 ამბროზინი (72), ზეედორფი — 27 სერჟინიო (81) | შეცვლა: ბუმა — 16 ლუსიუსი (46), ბისლი — 9 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (61) |

გაფრთხილება: ზეედორფი (18), გომესი (28), ოიერი (67)
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

ჯარიმა: 17-21; კუთხური: 8-0; კარისკენ დარტყმა: 5-6; კარში დარტყმა: 10-6; თამაშგარე: 5-1

**„ჩემპიონთა ლიგაში** და მით უმეტეს, ამ ეტაპზე, ანგარიში, რომლითაც მოვიგეთ, ცუდი ნამდვილად არ არის — თქვა მატჩის მერე მილანელთა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ — პსვ ძალიან კარგი გუნდია და რა გასაკვირია, რომ ძალიანაც განერვიულდა. ეინდჰოვენში კი უფრო მძიმე თამაში გველის და ორბურთიანი ჩამორჩენა მეტოქეს, დარწმუნებული ვარ, ვერ გატეხავს.“

ჰოლანდიელთა მწვრთნელმა გუს ჰიდინკმა კი თქვა: „ერთი ბურთით რომ წავგეგო, ცხადია, საპასუხო მატჩში მეტი შანსი გვექნებოდა, ორბურთიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა კი ძალიან ძნელია. თუმცა, ეს შეუძლებელი სულაც არ არის და თამაშის დასრულებისთანავე გასახდელში ყველამ ერთად ვთქვით, რომ ერთი კვირის მერე „მილანს“ შინ დიდ ბრძოლას გავუმართავთ.“

თამაში „მილანის“ იერიშებით დაიწყო. მეორე წუთზევე პაოლო მალდინის დიაგონალური პასით ანდრეი შევჩენკოს მიეცა კარგი საგოლე შანსი, მაგრამ მშვენივრად მოთამაშე სტუმართა ბრაზილიელ მეკარე ეურელიო გომესს ვერ აჯობა. ცოტაც და, გომესმა კლარენს ზეედორფსა და ერნან კრესპოს არ დაანება გატანა.

ამის მერე მეორე ბრაზილიელი მეკარის, დიდას საიმედოობის შემოწმების ჯერიც დადგა და თავი არც მან შეირცხვინა — ორი კარგი მომენტი სტუმართა პერუელ ფორვარდ ჯეფერსონ ფარფანს ჰქონდა, გამორჩეულად კარგი მომენტი კი ის იყო, ოდინდელ ეინდჰოვენელ იაპ სტამს რომ დაუსხლტა, მეკარის პირისპირ დარჩენილმა კი ბურთს კარგად ვერ დაჰკრა და დიდას საქმე გაუიოლა.

ფარფანის გარდა მილანელთა დაცვა რამდენჯერმე კორეელმა ჯისუნგ პარკმა და ამერიკელმა დამარკუს ბისლიმაც ააფორიაქეს.

საპირისპირო კართან კაკამ, ვინაც პირველ ევროპულ სეზონს ატარებს, კარგად იბრძოლა და საბოლოოდ ტაიმის ბოლოსკენ ჩინებული საგოლე პასიც გააკეთა, რომელსაც შევჩენკო შეეგება, ვილფრედ ბუმა ჩამოიცილა და და ათიოდ მეტრიდან გაიტანა.

„პირველ ტაიმში დიდებულად ვითამაშეთ — თქვა ანჩელოტიმ — შესვენების მერე კი დაცვას ვაქცევდით მეტ ყურადღებას და თამაშის კონტრშეტევებზე აგებას ვლამობდით.“

რაკი შესვენების მერე „მილანმა“ ტაქტიკა შეცვალა, ბუნებრივია, რომ „ეინდჰოვენს“ იერიშების მეტი საშუალებაც მიეცა, რაზეც ჰიდინკმა თქვა: „მეორე ტაიმში თვალშისაცემ უპირატესობას ვფლობდით და გულიც სწორედ იმიტომ მწყდება, რომ ჩვენ ვუტევდით, გოლი კი მათ გაგვიტანეს.“

ანგარიშში ჩამორჩენილი პსვ მასპინძლებს ძალუმ მიაწვა და ზემოთ ნახსენები პარკის გარდა, მეორე კორეელმა, იუნგ-პიუ ლიმაც დაბომბა დიდა.

მაგრამ ისეც რომ არ გამოგვივიდეს, თითქოს „მილანს“ თავდაცვის გარდა არაფერი ახსოვდაო, შევჩენკოს სამეორეტაიმო მომენტიც ვახსენოთ — უკრაინელის დარტყმულის მოსაგერიებლად გომესმა ისეთი ნახტომი გაჭიმა, ცირკის აკრობატს შეშურდებოდა.

ერთ მომენტში კი კახა კალაძის შეცდომით კინაღამ მარკ ვან ბომელმა იხეირა.





ეინდჰოვენელთა წუხილი გასაგებია, მათ არწასაგები წააგეს

ერთი სიტყვით, მომენტები ბევრი შეიქმნა და მათზე სათითაოდ ყურადღების გამახვილება ძალიან შორს წაგვიყვანს.

ბოლო წუთზე კი აი, რა მოხდა: კაკას დარტყმული ბურთი ფილიპ კოკუს მოხვდა და იონ დალ ტომასონისკენ გადავარდა, დანიელის გოლი კი ვინძლო ორი მატჩის ჯამში გადამწყვეტი გამოდგეს.

სხვათა შორის, ამ მატჩში „მილანმა“ ახალი რეკორდიც დაამყარა — ლიგის მიჯრით შვიდ შეხვედრაში გოლი არ გაუშვია და ეს მაშინ, როცა დისკვალიფიცირებული ალესანდრო ნესტას გარეშე მილანელთა დაცვის რგოლი მთლად საიმედოდ ვერ გამოიყურება.

დისკვალიფიკაციის ხსენებაზე — საპასუხო მატჩში ჰოლანდიელებს „სან სიროზე“ გაყვითლებული ანდრე ოიერი არ ეყოლებათ.

ანჩელოტი კი პსვ-ს დროებით დავიწყებას აპირებს: „2:0 კარგი შედეგია, მაგრამ ზეიმი ჯერ ადრეა. მეტიც, ახლა ჰოლანდიელთა დროებით დავიწყება და „ფიორენტინაზე“ ფიქრი გვმართებს.“

სერია **A**-ს თანალიდერი ფლორენციელებს შაბათს ხვდება და დინო ძოფის გუნდი ეგებ იმასაც ფიქრობდეს, ლიგაში მოღლილ „მილანს“ საჩვენოდ ენერგია არ ეყოფაო.

ისევ კომენტარებს მივუბრუნდეთ. კლარენს ზეედორფმა იღბალზე ილაპარაკა: „მეტოქეს ბევრი კარგი მომენტი ჰქონდა მაგრამ ვერ გაგვიტანა, ჩვენ კი, მართალია, მეორე ტაიმში ბევრი არაფერი შეგვიქმნია, გავიტანეთ ანუ იღბალი ჩვენსკენ იყო.“

გუს ჰიდინკმა კი დასძინა, ჩემი გუნდით ვამაყობ, ტოლ-სწორად ეთამაშნენ გუნდს, რომლის ბიუჯეტიც ჩვენსას ხუთჯერ აღემატებაო.

**კოტე კეკელია**

# ფრენკი ფრენკის ძე
## ძოლას გაზრდილი ლამპარდი



*26 წლის ფრენკ ლამპარდი ლონდონური „ჩელსის“ უდავო ლიდერი და ქომაგთა ჯილაა. ამ უნივერსალურ ფეხბურთელს მოედანზე ყველაფერი ძალუძს — ლამპარდი საიმედოა დაცვაში, ეფექტურია შეტევისას, არიგებს ჩინებულ პასებს და ორივე ფეხით ურტყამს ძალიან კარგად.*

*მოკლედ, ფრენკ ლამპარდთან ინტერვიუს გთავაზობთ. „ჩელსიმ“ და ბუნებრივია, ლამპარდმაც წუხელ ითამაშეს ჩემპიონთა ლიგის პირველი ნახევარფინალური მატჩი „ლივერპულთან“*

**— „ჩელსისა და „არსენალის“ ამასწინანდელი მატჩისას „მეთოფეთა“ ფანები ყვიროდნენ, ეს „ჩელსი“ კი არა, რუსეთიაო. მიაქციეთ ყურადღება?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ უკვე შევეგუეთ. მსგავსი რამ მუდმივად ხდება, ინგლისელ ფანებს მწარე ხუმრობა ეხერხებათ. ასეთები ჩვენზე არ მოქმედებს. იყვირონ, თუ ასე ძალიან სურთ! ერთგვარ სიამოვნებასაც კი ვღებულობთ. გასაგებია, რომ ვერ იტანენ მათ, ვინც ძლიერია. „ჩელსი“ ხომ ამ სეზონში მწვერვალზეა. ამიტომ შეუძლიათ, იხუმრონ ამ თემაზე. ჩვენი გუნდის თითოეულმა ფეხბურთელმა თავად იცის, თუ რამდენი ოფლი დაღვარა „ჩელსისთვის“.

**— რომან აბრამოვიჩთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

— თავიდან, როცა შევიტყვე, რომ „ჩელსის“ რუსი მილიარდელი ყიდულობდა, სულ სხვა რამეს ველოდი. ვიფიქრე, ახალ პატრონს ალბათ თვალითაც ვერ ვნახავთ-მეთქი. მაგრამ აბრამოვიჩი ყველა მატჩს ესწრება და თამაშის შემდეგ გასახდელშიც კი შემოდის. სიხარულს ჩვენთან ერთად იზიარებს, მარცხის დროსაც გვერდით გვიდგას. მისი ასეთი საქციელი სასიამოვნო სიურპრიზია.

**— აზერბაიჯანთან მატჩის შემდეგ ნაკრების ფეხბურთელები ლონდონში ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თვითმფრინავით დაბრუნდნენ, თქვენ, ჯონ ტერი და ჯო კოული კი რომან აბრამოვიჩის ჩარტერით იმგზავრეთ...**

— ეს ნამდვილად საკვირველი იყო. ასეთი რამ ადრე არასდროს მომხდარა. ჩვენ კლუბს აბრამოვიჩის მოსვლამდე ფინანსურად ძალიან უჭირდა, ახლა კი „ჩელსი“ მსოფლიო დონის გუნდია.

**— ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ზედიზედ მეორედ ხართ. „მონაკოსთან“ შარშანდელი მარცხი როგორი გაკვეთილი იყო?**

— ბევრი რამ გვასწავლა. ვფიქრობ, რომ „მონაკოზე“ ძლიერები ვიყავით, ერთი თავით მაღლა ვიდექით მეტოქეზე, მაგრამ ამით ვერ ვისარგებლეთ. აქედან დასკვნა: დიდ მატჩებში, დიდ გუნდებთან 90 წუთის განმავლობაში მობილიზებული თუ არ იქნები, მეტოქე დაგსჯის. ვიმედოვნებ, შარშანდელი გაკვეთილი წლეულს გამოგვადგება.

**— პრემიერლიგის მოგება უფრო რთულია თუ ჩემპიონთა ლიგის? თქვენთვის რომელია მთავარი?**

— სირთულეზე რა გითხრათ, ჩემპიონთა ლიგაში გაცილებით ძლიერ გუნდებს ხვდები, ვიდრე შინაურ ჩემპიონატში. ლიგაში მერვედფინალიდან იღბალიც საჭიროა, პრემიერლიგაში კი საბოლოოდ მაინც ის გაიმარჯვებს, რომელიც ძლიერია. ორივე ტურნირი საინტერესოა. რაც შეეხება კითხვას, თუ რომელია ჩემთვის მთავარი, სეზონის დასაწყისში „ჩელსი“ პრემიერლიგის მოგებაზე ფიქრობდა, რადგან ჯილდოები არ გვაქვს. ჩვენი მიზანი ჩემპიონობა იყო, მაგრამ სეზონის მსვლელობისას მადა გაგვეხსნა. ინგლისის ლიგის თასი მოვიგეთ, ქვეყნის ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯი გვაკლია, აქ კიდევ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ვართ და საწყენი იქნება, რომ ევროჯილდოზე არ ვიფიქროთ.

**— „ბარსელონასთან“ ჩატარებული მატჩები როგორ დაგამახსოვრდათ?**

— უსამართლობაა, რომ ასეთი გუნდები ერთმანეთს მერვედფინალში შეხვდნენ. ეს წყვილი სულ მცირე, ნახევარფინალში თამაშს იმსახურებდა. „ბარსელონასთან“ ორივე თამაში ისტორიაში შევიდა, მაგრამ ისტორია ჯერ არ დასრულებულა. ალბათ კიდევ სადმე გადავეყრებით და მე ეს ძალიან მსურს. წაგებულს რეაბილიტაცია უნდა, მოგებულს კი იმის დამტკიცება, რომ ის ნამდვილად უკეთესია მეტოქეზე. „ბარსელონა“ დიდებული გუნდია და მისი დამარცხება საშინლად რთული იყო.

**— ჩემპიონთა ლიგის ფავორიტი „ჩელსია“ თუ „მილანი“?**

— ამ კითხვით საბუქმეიკერო კანტორას მიმართეთ. ისე კი „მილანია“, რადგან ჩვენ ნახევარფინალში გაცილებით ძლიერი მეტოქე შეგვხვდა, ვიდრე იტალიელებს.

**— „ჩელსის“ პრემიერლიგის ჩემპიონობამდე ორი ქულაღა აკლია და 50 წლის შემდეგ ჯილდოს კვლავ შესწვდება. თქვენ, ალბათ, სულ სხვანაირად გრძნობთ ამ მოსალოდნელ გამარჯვებას, ვიდრე „არსენალი“ ან „მანჩესტერ იუნაიტედი“, რომლებიც ტიტულებით განებივრებულნი არიან...**

— ცხადია, სულ სხვა შეგრძნება იქნება. ნახევარსაუკუნიანი ლოდინის შემდეგ „ჩელსი“ ხომ პრემიერლიგას მოიგებს. მოახლოებულ სიხარულს ყველა განსაკუთრებულად ელის — მწვრთნელები, ფეხბურთელები და გულშემატკივრები. ალბათ, დაუვიწყარი ზეიმი გაიმართება.

**— თქვენი მეტოქეების ქომაგები ყოველთვის მიუთითებენ ფულზე, რომლითაც აბრამოვიჩმა საჭირო ფეხბურთელები შეიძინა ანუ „ჩელსიმ“ ტიტული მდიდარი პატრონის წყალობით იყიდაო. ამაზე რას იტყვით?**

— რა თქმა უნდა, დიდი გუნდის შექმნისას ფინანსები აუცილებელია. „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ბოლო ათი წლის განმავლობაში ბლომად ფული დახარჯა, გაიხსენეთ თუნდაც ვერონი და ფერდინანდი, მაგრამ ცხრაპირი ოფლი თუ არ მოიდინე, მხოლოდ ფულით კარგი გუნდი ვერ გაკეთდება. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რამდენი იშრომა ჟოზე მაურინიომ, ეს იყო უმძიმესი სამუშაო. იგივე შეიძლება ითქვას ნებისმიერ ფეხბურთელზე.



ფრენკ ლამპარდის ორივე ფეხი საიმედოა

**— ჟოზე მაურინიომ თქვენზე, როგორც ფეხბურთელზე, რამდენად იმოქმედა?**

— მან თავდაჯერებულობა შემმატა. ცალკე კი არ მავარჯიშებდა, მაურინიოს ჩემი სჯეროდა, მე კი — მისი. ასეთი დამოკიდებულება ჩემზე დადებითად მოქმედებს.

**— მსოფლიოში ან ინგლისში თუ არის ისეთი გუნდი, რომელიც გეჯავრებათ?**

— არა, როცა ჩემი ყოფილი კლუბი („ვესტ ჰემი“) დავტოვე, ერთხანს, ძალიან ცუდი დამოკიდებულება მქონდა ამ გუნდის მიმართ, რადგან იქაური ფანები ვერ მიტანდნენ. მერე ნელ-ნელა გადამიარა.

**— შესაძლებელია, რომ ოდესმე „არსენალში“ ან „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადახვიდეთ?**

— „ჩელსიში“ მანამდე დავრჩები, სანამ გუნდისთვის საჭირო ვიქნები. ეს კლუბი ჩემთვის მშობლიური გახდა. ჩემი გული აქაა და მსურს, რომ კარიერის ბოლომდე „სტემფორდ ბრიჯზე“ ვიყო.

**— „ვესტ ჰემის“ ფანებთან ცუდი ურთიერთობა გქონდათ. ხომ არ გაიხსენებთ ისეთ მომენტს, როცა ერიკ კანტონასავით ვინმეს ცემა გეწადათ?**

— როცა „ჩელსის“ მაისურით „ვესტ ჰემის“ წინააღმდეგ პირველად ვითამაშე, ისეთები მომაძახეს, თავს ძლივს ვიკავებდი, რომ ვინმე არ მეცემა, მაგრამ როგორღაც გადავიტანე.

**— მამათქვენი, ფრენკ ლამპარდი უფროსი თავის დროზე კარგი მცველი იყო. მამის ფეხბურთელობამ უმცროსი ლამპარდის კარიერაში რა როლი ითამაშა?**

— უდიდესი. აშკარად გამიმართლა, რადგან ბავშვობიდან ძალიან ბევრი საფეხბურთო წვრილმანი შევისწავლე. მამაჩემი ჩემს ყოველ ნაბიჯს აკონტროლებდა. ხანდახან მკაცრიც იყო, მაგრამ ახლა მისი მადლიერი ვარ. მეუბნებოდა, ორივე ფეხით ერთნაირად კარგად თამაში უნდა შეგეძლოს და მიმეორებდა: უნდა გაიტანო! უნდა გაიტანო! ახლა ყოველი გოლის შემდეგ ეს სიტყვები მახსენდება.

**— „ჩელსიში“ ვინ გეხმარებოდათ?**

— ჯანფრანკო ძოლა. ჩემს განვითარებაში მას უდიდესი წვლილი მიუძღვის. ძოლა თვითონაც თავდაუზოგავად ვარჯიშობდა და ჩვენც, ახალგაზრდებს, ვარჯიშების შემდეგ რჩევა-დარიგებას გვაძლევდა. ყველას სათითაოდ გვიხსნიდა, რა და როგორ უნდა გვეკეთებინა. ვცდილობდი, მისი ყოველი სიტყვა დამემახსოვრებინა. ჩვენ კარგი ურთიერთობა დღესაც გვაქვს. ერთმანეთს ტელეფონით ვუკავშირდებით-ხოლმე და როცა ძოლა ლონდონში ჩამოდის, აუცილებლად ვნახულობ.

**— ამჟამად მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად ვინ მიგაჩნიათ?**

— რონალდინიო, მას ეს ჯილდო ფიფასგან დამსახურებულად ერგო.

# უეფას თასი 2004-2005
## 1/2 ფინალი. პირველი მატჩები. დღეს



რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის არყოფნის მიუხედავად, ჟოზე პეშეიროს შეგირდებმა მაინც ხალისიანად ივარჯიშეს

# იქ, სადაც ალვალადე გველის

## სპორტინგი (პორტუგალია) – ალკმაარი (ჰოლანდია)

### სავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| რიკარდუ, ანდერსონ პოლგა, ენაკარხირე, რუი ჟორჟე, როჟერიუ, უგო ვიანა, როჩემბაკი, მუტინიუ, ზა პინტუ, დუალა, ლიდსონი<br>მწვრთნელი: ჟოზე პეშეირო | ტიმერი, ზოონტისი, ჯელინსი, ბიუსკერმოლენი, დე კლერი, ლანძაატი, ლინდენბერგი, ვან გალენი, კ. პერესი, ნელისე, სეკტიუ<br>მწვრთნელი: კო ადრიანსე |

მსაჯი: მასიმო დე სანტისი (იტალია)

**1963-64 წლების** სეზონში ლისაბონის „სპორტინგმა“ ბუდაპეშტის მტკ-ს მოუგო და თასების თასს დაეუფლა. ამის შემდეგ პორტუგალიელები ევროთასების ფინალში აღარ ყოფილან და ახლა ამ პაუზის შეწყვეტა აქვთ გადაწყვეტილი. თანაც ფინალი ხომ მათ მშობლიურ „ჟოზე ალვალადეზეა“ დანიშნული...

გასულ უქმეებზე, „სპორტინგმა“ ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთ აუტსაიდერ „აკადემიკას“ ვერ სძლია (0:0) და გათამაშების ლიდერ „ბენფიკას“ უკვე 3 ქულით ჩამორჩა. ადგილობრივ პრესას და გულშემატკივრებს ეს, ცხადია, არ ესიამოვნათ და ლისაბონელები გააკრიტიკეს კიდეც. თუმც გუნდის თავკაც ჟოზე პეშეიროს თქმით, ეს უბრალო უიღბლობა იყო და კლუბში არანაირი პრობლემა არ არის.

მასპინძლებს გუნდის კაპიტანი პედრუ ბარბოზა ჰყავთ დისკვალიფიცირებული, კარლუშ მარტინშის თამაში კი ძალიან საეჭვოა. მცირე ტრავმა აქვს რუდოლფ დუალასაც, მაგრამ პორტუგალიელ ექიმთა თქმით, იგი მინდორზე გავა.

გაცილებით რთულადაა ალკმაარელთა საქმე. ბოლო ერთი თვის მანძილზე გუნდს ტრავმების ეპიდემიამ წამოუარა და სერიოზული პრობლემებიც შეუქმნა. თან საკმაოდ ხანგრძლივი ვადით გამოაკლდათ სამი წამყვანი ფეხბურთელი — მარტინ მეერდინკი, ჟორის მატიისენი და იან კრომკამპი, ხოლო ბარი ოპდამი „სპორტინგის“ წინააღმდეგ დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს.

ჰოლანდიელთა თავკაცი კო ადრიანსეც სწორედ ტრავმებზე და უიღბლობაზე წუწუნებს, თუმც იმედი არ დაუკარგავს და ჩინებულად დაწყებული სეზონის კარგად ჩამთავრება უნდა.

ოცდაორწლიანი პაუზის შემდეგ „ალკმაარი“ პირველად მონაწილეობს ევროთასებზე და უკვე შეიძლება ითქვას, რომ წარმატებულადაც, მაგრამ გუნდი ამით დაკმაყოფილებას არ აპირებს. ჰოლანდიელები უეფას თასის ფინალში ერთხელ უკვე გავიდნენ 1981 წელს და „იფსვიჩთან“ დამარცხდნენ.

## პარმა (იტალია) – ცსკა (რუსეთი)

### სავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| ბუჩი, კარდონე, ბონერა, პ. კანავარო, კონტინი, პიზანუ, ი. კამარა, სიმპლისიო, სავი, ვინიაროლი, გიბსი<br>მწვრთნელი: პიეტრო კარმინიანი | აკინფეევი, იგნაშევიჩი, ვ. ბერეზუცკი, ოდია, ლაიზანსი, შემბერასი, რახიმიჩი, კრასიჩი, ჟირკოვი, ოლიჩი, ვაგნერ ლავი<br>მწვრთნელი: ვალერი გაზაევი |

მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

**მოგეხსენებათ**, იტალიელებს სერია **A**-ში სერიოზული პრობლემები აქვთ და გავარდნის ერთ-ერთი კანდიდატები არიან, რაც გუნდის ხელმძღვანელობას და ფეხბურთელებს ძალიან აშინებთ. მათ არაერთხელ უთქვამთ, რომ მთავარი მიზანი სწორედ ამ საფრთხის თავიდან აცილებაა და არა უეფას თასის მოგება. ასე რომ, პიეტრო კარმინიანი ამჯერადაც წამყვანი მოთამაშეების დასვენებას აპირებს.

„უეფას თასის ფინალში გასვლა და მით უმეტეს, მისი მოგება, ძალიან დიდი წარმატებაა, რომლის მიღწევასაც ვეცდებით. თუმცა, ახლა ძალიან რთული პერიოდი გვაქვს და მთელ ყურადღებას ამას ვერ დავუთმობთ. სერია **A**-დან გავარდნა დაუშვებელია. კვლავ წამყვანი ფეხბურთელების დასვენება მოგვიწევს, რადგანაც რამდენიმე დღეში „ლივორნოსთან“ უმნიშვნელოვანესი მატჩი გველის. სხვების არ იყოს, ცსკა-ს მეც ფავორიტად მივიჩნევ. უბრალოდ, ისინი მხოლოდ ამ შეხვედრაზე არიან კონცენტრირებულნი, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ აქამდე სწორედ შემადგენლობის როტაციით მოვედით. თანაც, არაერთი სერიოზული გუნდი ჩამოვიშორეთ“ — აღნიშნა პარმელთა თავკაცმა პიეტრო კარმინიანიმ.

პარმელებს — მარკო მარკიონის, ვინჩენცო გრელასა და დამიანო ფერონეტის ტრავმები აქვთ, ხოლო მარკო ბრეშიანოს კარმინიანი დისკვალიფიკაციის გამო ვერ დაიხმარს.

რაც შეეხებათ მოსკოველებს, ისინი „ენიო ტარდინის“ ოპტიმალური შემადგენლობით ეწვივნენ, მაგრამ დანაკლისი მათ რიგებშიც არის — ევგენი ალდონინს დისკვალიფიკაცია აქვს, ხოლო დეივიდას შემბერასს მსუბუქი ტრავმა აწუხებს, თუმც, სავარაუდოდ ეს უკანასკნელი მინდორზე მაინც გავა.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ ეს კლუბები ერთმანეთს აქამდეც შეხვედრიან — 2002 წელს უეფას თასის პირველ რაუნდში, მოსკოვში შეხვედრა ფრედ 1:1 მორჩა, ხოლო აპენინებზე პარმელებმა 3:2 იმარჯვეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ „პარმა“ ევროტურნირებში აქამდე ოთხჯერ ყოფილა ნახევარფინალებში და იტალიელებმა ოთხივე შემთხვევაში შეძლეს ფინალისკენ გზის გაკაფვა. მიმდინარე გათამაშებაში კი 17 შეხვედრიდან შვიდში კარი მშრალად შეინახეს, ხოლო რაც გუნდი კარმინიანიმ ჩაიბარა, საერთოდ არ წაუგიათ.

რუსულ კლუბს კი ევროთასებზე ასეთი წარმატებისთვის ჯერ არ მიუღწევია.

**გიორგი ძაძამიძე**



**ესპანური** „რეალი“ დამდეგ ზაფხულს ტურნეს გასამართად ჩინეთს ეწვევა. „ჩვენ ჩინეთში ძალიან ბევრი გულშემატკივარი გვყავს. ამიტომ ამ ქვეყანაში აუცილებლად უნდა ჩავიდეთ. როგორც ვიცი, ფეხბურთის მოყვარული თითოეული ხუთი ჩინელიდან, სულ ცოტა ოთხი „რეალის“ ქომაგია“ — განაცხადა მადრიდელთა ვიცე-პრეზიდენტმა ემილიო ბუტრაგენიომ. „სამეფო კლუბი“ ჩინეთში სრული შემადგენლობით 19-დან 24 ივლისამდე დაჰყოფს.

**იტალიურმა** „ინტერმა“ გადაწყვიტა, სებასტიან ფრეი დაიბრუნოს. კლუბი ამისთვის 3,5 მილიონ გირვანქას არ იშურებს და თან ერთი წლით ურუგვაელ გოლკიპერ ფაბიან კარინის სთავაზობს „პარმას“. შეგახსენებთ, „სან სიროზე“ დაბრუნების სურვილი თავად ფრეისაც აქვს. ამჟამად პარმელები მილანელთა წინადადებას განიხილავენ.

**გერმანიის** მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეთა საპრიზო ფონდი 332 მილიონი შვეიცარული ფრანკი იქნება. ეს თანხა 38 პროცენტით აღემატება წინა პრემიას. „ეს აქტივების გაზრდის მეშვეობით მოხერხდა. მოხარული ვარ, რომ ამ მხრივ წინ წავიწიეთ“ — განაცხადა ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა.

**ესპანური** „სოსიედადის“ პრეზიდენტი ხოსე ლუის ასტიასარანი სეზონის ბოლოს პოსტს დატოვებს. „მომავალ არჩევნებში, რომელიც წესით, 2006 წელს უნდა გამართულიყო, მონაწილეობას აღარ მივიღებ. ახლა მთავარია, სათანადო კანდიდატი მოიძებნოს, რომელსაც გუნდს ზაფხულში ჩავაბარებთ“ — თქვა ასტიასარანმა.

**იტალიურ** „რომას“ ფრანსელინო მატუზალემის შეძენა უნდა. „ბრეშას“ ყოფილ ნახევარმცველს დედაქალაქელები გასულ ზაფხულსაც უტრიალებდნენ, მაგრამ საბოლოოდ 24 წლის ბრაზილიელმა კონტრაქტი დონეცკის „შახტართან“ გააფორმა. მატუზალემის გარდა, რომაელები მოლაპარაკებას პსვ-ს შვეიცარიელ ნახევარმცველ იოჰან ფოგელთანაც აწარმოებენ, რომელიც სეზონის ბოლოს თავისუფალი აგენტი გახდება, თუ ეინდჰოვენელებთან კონტრაქტს არ გაახანგრძლივებს.

**ინგლისური** „საუთჰემპტონის“ მთავარი მწვრთნელი ჰარი რედნაპი და მისი თანაშემწე ჯიმ სმიტი სეზონის ბოლოს კლუბს დატოვებენ. როგორც ირკვევა, ეს იმ შემთხვევაშიც მოხდება, ბოლო ადგილზე მყოფმა „წმინდანებმა“ პრემიერლიგაში რომც მოახერხონ დარჩენა.

**ესპანური** „ვალენსიას“ ნახევარმცველმა ვისენტემ ტრავმა მოიშუშა და მინდორს უბრუნდება. იგი უკვე კლუბთან ერთად ვარჯიშობს, მაგრამ შეძლებს თუ ვერა „ნუმანსიასთან“ თამაშს, ჯერ კიდევ უცნობია. შეგახსენებთ, რომ ვისენტე სექტემბერში დაშავდა, დეკემბერში მინდორზე დაბრუნება სცადა, მაგრამ ტრავმა უფრო გაიმიზეზა და ფაქტობრივად, მთელი სეზონი გამოტოვა.

**შოტლანდიური** „სელტიკის“ ფორვარდი კრეიგ ბელამი 2-3 კვირა ველარ ითამაშებს. უელსელი „რეინჯერსთან“ მატჩისას დაშავდა და თითქმის სეზონის ბოლომდე ჩამოშორდა ფეხბურთს. დანამდვილებით კი ის არის ცნობილი, რომ ბელამი გლაზგოელებს „ჰიბერნიანთან“ და „აბერდინთან“ მატჩებში ვერ დაეხმარება.

**იტალიური** „პარმას“ ვარსკვლავ ალბერტო ჯილარდინოს კიდევ ერთი მსურველი გამოუჩნდა: „მილანსა“ და „რეალს“ ლონდონის „არსენალიც“ შეემატა. როგორც ამბობენ, „მეთოფეები“ მზად არიან, სერიოზულად ჩაერთონ ფორვარდისთვის ბრძოლაში და სოლიდური თანხაც გადაიხადონ.

**ჰოლანდიურმა** „აიაქსმა“ 22 წლის შვედ თავდამსხმელ მარკუს როზენბერგს დაადგა თვალი, თუმც თავად „მალმიოს“ ფორვარდს ამსტერდამელთა ინტერესი მაინცდამაინც არ ხიბლავს. მიუხედავად ამისა, „აიაქსი“ შვედურ კლუბთან მოლაპარაკებას აპირებს.

**ესპანურ** „დეპორტივოს“ მომავალი სეზონიდან სავარაუდოდ, ვისენტე დელ ბოსკე ჩაიბარებს. ლაკორუნიელებმა საბოლოოდ გადაწყვიტეს ხავიერ ირურეტასთან განშორება და მყისვე „რეალისა“ და „ბეშიქთაშის“ ყოფილ თავკაცს დაუკავშირდნენ. თუმც მოლაპარაკება „ბილბაოს“ მწვრთნელ ერნესტო ვალვერდესთანაც მიმდინარეობს.

**კორეელი** ნახევარმცველი ჯი-სუნგ პარკი რამდენიმე კლუბის ყურადღების ცენტრში მოექცა, თუმცა „პსვ ეინდჰოვენი“ მის გაშვებას არ აპირებს და უახლოეს მომავალში აზიელს ახალ კონტრაქტს შესთავაზებს. ჰოლანდიელთა თავკაც გუს ჰიდინკს იმედი აქვს, რომ პარკის შენარჩუნებას შეძლებს.

**ჰოლანდიური** „ფეიენოორდი“ „ბრიუგეს“ ნახევარმცველ ტიმი სიმონსით დაინტერესდა. 28 წლის ფეხბურთელს ბელგიელებთან კონტრაქტი 2008 წლამდე აქვს გაფორმებული, მაგრამ გუნდის გამოცვლაზე მაინც ფიქრობს. მხარეებს შორის მოლაპარაკება სავარაუდოდ კიდევ რამდენიმე კვირას გასტანს.

**იტალიური** „იუვენტუსის“ შვედმა თავდამსხმელმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა შესაძლოა, „მილანთან“ ითამაშოს. საქმე ისაა, რომ „იუვეს“ გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ იტალიის ფეხბურთის ფედერაციაში აპელაცია უკვე შეიტანა და ახლა სასურველი ვერდიქტის მოლოდინშია. შეგახსენებთ, ზლატან იბრაჰიმოვიჩი ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა ინტერელ ივან კორდობასთან განზრახ უხეშობის გამო.





დევიდ ბექჰემის ცოლ-შვილს პაპარაცები კიდევ დასდევენ

# ბეჭდების დამთვალიერებელი

## მოღალატე დევიდის მოღალატე ები



ები გიბსონმა ბექჰემიანთ ოჯახის საიდუმლოებები გათქვა

**ააბა**, რა დღეა 9 მაისი? ფაშიზმზე გამარჯვების დღე, ეს ერთი. კიდევ? კიდევ, 9 მაისს დევიდ ბექჰემის დაბადების დღეა და მადრიდში დიდი წვეულებაა დანიშნული — ინგლისის ნაკრების კაპიტანს 30 წელი უსრულდება. დანამდვილებით გახლავთ ცნობილი, რომ ბექჰემების ოჯახი საიუბილეო დარბაზობაში 500 000 გირვანქას იხდის. ამიტომაც ჩაუსაფრდნენ საგანგებოდ ფეხბურთელის მეუღლეს, პოპ ვარსკვლავ ვიქტორია ადამსბექჰემისას „სანის" პაპარაცები და არც შემცდარან: მათ მადრიდის საიუველირო მაღაზიებს შორის ყველაზე მდიდრულისა და პრესტიჟულის, სუარესის სალონის წინ შეამჩნიეს პოშის „რენჯ როვერი", რომლიდანაც თავად ვარსკვლავი და მისი შუათანა ვაჟი, რომეო გადმოვიდნენ. ცნობისთვის: სუარესის მაღაზია მადრიდული არისტოკრატიის, ესპანეთის სამეფო ოჯახისა და სელებრითი საზოგადოების საყვარელი საოქრომჭედლოა.

რატომ აღნიშნავენ ბექჰემები დევიდის დღეობას ასე პომპეზურად? მხოლოდ იმიტომ, რომ ოცდაათი წელი უსრულდება, ხოლო ოცდაათი მრგვალი თარიღია? ალბათ, კი და იმავდროულად, მხოლოდ ამიტომაც არა — ბოლო დღეებში ისევ წამოტივტივდა დევიდისა და ვიქტორიას ოჯახის სიმყარის თემა და პასუხია გასაცემი.

არა, ახალი და სკანდალური არაფერი მომხდარა, მაგრამ ერთმა ძველმა ამბავმა კი წამოჰყო თავი: სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბექჰემების სარჩელი ინგლისური გაზეთის, **NEWS OF THE WORLD**-ის წინააღმდეგ. ამ სარჩელის მიზეზი კი გახლდათ ის პუბლიკაცია, რომელშიაც გაზეთმა ბექჰემების ბავშვის ძიძის მონათხრობზე დაყრდნობით ოჯახის საიდუმლოებები გამოამზეურა. კერძოდ, 27 წლის გალიამ, ები გიბსონმა 300 000 გირვანქის საფასურად, სხვადასხვა წვრილმანებთან ერთად გაზეთის კორესპონდენტებს უამბო, თუ როგორ, სად და ვისთან ლალატობდა დევიდი ვიქტორიას.

სასამართლოს გადაწყვეტილებამ ბექჰემების ოჯახი, როგორც ირკვევა, გაალიზიანა და ახლა ისინი ები გიბსონის წინააღმდეგ აპირებენ ჩივილს. ისინი კომპენსაციად იმ 300 ათასს ითხოვენ, რომელიც, როგორც მოგეხსენეთ, ოჯახური ამბების მოყოლაში გალიამ გაზეთისგან მიიღო.

„ჩემი კლიენტი თავის ყოველ სიტყვაზე პასუხისმგებელია" — განაცხადა ები გიბსონის პიარ აგენტმა მაქს კლიფორდმა.

**ბაბუნა ძიდია**

# მანჩესტერს არამზადები შეესივნენ

## რიოს ფიქრები, სერის შიშები

*ამერიკელი მაგნატი მალკოლმ გლეიზერი „მანჩესტერ იუნაიტედს" არაფრით არ ეშვება და დიდი შანსია, კვირის ბოლომდე მაინც მიაღწიოს თავის მიზანს — გუნდის აქციების საკონტროლო პაკეტი ჩაიგდოს ხელში.*

*„წითელ ეშმაკებს" ახალი თავსატეხიც გაუჩნდათ მავანი არაბი შეიხის სახით, რომელსაც ასევე კლუბის ხელში ჩაგდება განუზრახავს და მზად არის, 900 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. ამასობაში, ახალ კონტრაქტზე ხელის მოწერას აჭიანურებს რიო ფერდინანდი, ხოლო გუნდის მეორე მცველ გაბრიელ ჰაინცეს ტრავმა არც ისე სერიოზული გამოდგა, როგორც ვარაუდობდნენ. ალან სმიტმა კი კიდევ ერთხელ აღნიშნა, „ოლდ ტრეფორდის" დატოვებას არ ვაპირებო*



ალექს ფერგიუსონს რიო ფერდინანდის საქციელი აეჭვებს

**მალკოლმ გლეიზერი** რომ ყველა ხერხით ცდილობს „მანჩესტერის" შეძენას და მზად არის, ძალიან დიდი ფული გადაიხადოს, უკვე ძველი ამბავია. მიუხედავად ამისა, ამერიკელს ყოველთვის ცივი უარით ისტუმრებენ, მაგრამ შესაძლოა, ამჯერად მან საწადელი აისრულოს. როგორც ირკვევა, გლეიზერმა „მანიუს" ირლანდიელ აქციონერებთან, მაკმანუსთან და მანიესთან საერთო ენა ამჯერად გამონახა.

იმასაც ამბობენ, რომ ირლანდიელებს შორის აზრი გაიყო — ერთი თანახმაა აქციების გაყიდვაზე, მეორე კი არაო. მოლაპარაკება გადამწყვეტ ფაზაში სწორედ ამ დღეებში შევა და წესით, კვირის ბოლომდე ბევრი რამ უნდა გაირკვეს.

მაკმანუსი და მანიე აქციების 28,9 პროცენტს ფლობენ და თუ გლეიზერმა მათი დაყოლიება მოახერხა, 57 პროცენტის ანუ საკონტროლო პაკეტის მფლობელი გახდება.

პარალელურად „მანჩესტერს" უტრიალებს ვინმე მოჰამედ ბენ რაშიდ ალ-მაკტუმი. ამბობენ, იგი მზად არის კლუბში 900 მილიონი გირვანქა ჩადოსო. თუმც „წითელი ეშმაკების" ხელმძღვანელობამ ამ ვარიანტისგან თავი შორს დაიჭირა.

„ჩვენ არ გვინდა, რომ გუნდს ერთი კონკრეტული მფლობელი ჰყავდეს, თანაც უცხოელი. გარდა ამისა, თუ ის ყველაფერი მართალია, რასაც ამ შეიხზე ამბობენ, არამზადა გლეიზერი მასთან ჯენტლმენად მოგვეჩვენება" — აღნიშნა კლუბის მარკეტინგის ვიცე-პრეზიდენტმა ოლივერ ჰიუსტონმა.

ამასობაში, გუნდის თავკაცი სერ ალექს ფერგიუსონი რიო ფერდინანდის დუმილს შეუწუხებია. ამ უკანასკნელმა ცოტა ხნის წინ კი თქვა, ფაქტობრივად ყველაფერზე შევთანხმდით და კონტრაქტის გახანგრძლივებაზეც თანახმა ვარო, მაგრამ ახალი შეთანხმებისთვის ჯერაც არ მოუწერია ხელი. მანჩესტერელთა მთავარი მწვრთნელი შიშობს, რომ ფერდინანდი ვინძლო, „ოლდ ტრეფორდის" დატოვებაზე და „ჩელსიში" გადასვლაზეც ფიქრობდეს.

სერ ალექს ფერგიუსონი: „რიომ ბოლოს და ბოლოს უნდა გადაწყვიტოს, რჩება კლუბში თუ არა. ახალი კონტრაქტი ჯერ კიდევ ორი კვირის წინ შევთავაზეთ და ხელი აქამდე არ მოუწერია. არადა, ეს სარჩევი აღარაფერია".

გასულ უქმეებზე გაბრიელ ჰაინცეს „ნიუკასლთან" მატჩისას მიღებული ტრავმა არც ისე სერიოზული აღმოჩნდა. თავიდან ვარაუდობდნენ, რომ არგენტინელს ფეხი ჰქონდა მოტეხილი, მაგრამ რენტგენმა ეჭვები გააქარწყლა. შეძლებს თუ არა ის პრემიერლიგის მორიგ ტურში თამაშს, ჯერჯერობით უცნობია.

დაბოლოს, ალან სმიტზეც ვიქვათ. მოგეხსენებათ, „ლიდსის" ყოფილი ფორვარდი გუნდის ძირითადში ვერ ხვდება და, ბრიტანელი პრესის ცნობით, წასვლას აპირებს, თანაც მისით არაერთი კლუბია დაინტერესებული. თუმცა ალან სმიტმა ყველაფერი უარყო.

„აქ ძალიან ბედნიერი ვარ და გუნდის გამოცვლა აზრადაც არ მომივლია. „მანჩესტერში" მოსვლას ნებისმიერმა ფეხბურთელმა ოცნებობს, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არა აქვს და ამისთვის თავდაუზოგავი შრომაა საჭირო, რასაც ვაკეთებ კიდეც. ასე რომ, საგაზეთო ჭორებს ნუ აჰყვებით" — დასძინა სმიტმა.

**გიორგი კაკაბაძე**

## ინგლისი

### პრემიერლიგა გადადებული მატჩი

**ვესტ ბრომვიჩი 1:1 ბლექბერნი**

1:0 კ. რიჩარდსონი (32), 1:1 ემერტონი (64)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 34 | 26 | 7 | 1 | 65:13 | 85 |
| არსენალი | 34 | 22 | 8 | 4 | 74:33 | 74 |
| მანჩესტერი | 34 | 20 | 10 | 4 | 50:21 | 70 |
| ევერტონი | 34 | 17 | 7 | 10 | 41:34 | 58 |
| ლივერპული | 35 | 16 | 6 | 13 | 48:36 | 54 |
| ბოლტონი | 35 | 15 | 9 | 11 | 45:39 | 54 |
| მიდლსბრო | 34 | 13 | 10 | 11 | 50:44 | 49 |
| ტოტენჰემი | 35 | 13 | 9 | 13 | 42:39 | 48 |
| ასტონ ვილა | 35 | 12 | 11 | 12 | 42:43 | 47 |
| სიტი | 35 | 11 | 12 | 12 | 42:37 | 45 |
| ჩარლტონი | 35 | 12 | 9 | 14 | 40:51 | 45 |
| ბლექბერნი | 35 | 9 | 14 | 12 | 30:38 | 41 |
| ბირმინგემი | 35 | 9 | 12 | 14 | 36:43 | 39 |
| ნიუკასლი | 33 | 9 | 11 | 13 | 43:53 | 38 |
| პორტსმუთი | 35 | 10 | 8 | 17 | 42:54 | 38 |
| ფულემი | 34 | 9 | 8 | 17 | 40:56 | 35 |
| კრ. პალასი | 35 | 7 | 9 | 19 | 37:58 | 30 |
| ვესტ ბრომვიჩი | 35 | 5 | 15 | 15 | 33:58 | 30 |
| ნორვიჩი | 35 | 6 | 12 | 17 | 38:67 | 30 |
| საუთჰემპტონი | 35 | 5 | 13 | 17 | 38:59 | 28 |

### ჩემპიონატი გადადებული მატჩი

**ლესტერი 1:0 დერბი**

1:0 კონოლი (50)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანდერლენდი | 44 | 27 | 7 | 10 | 73:40 | 88 |
| უიგანი | 44 | 24 | 11 | 9 | 75:33 | 83 |
| იფსვიჩი | 44 | 23 | 12 | 9 | 79:54 | 81 |
| პრესტონი | 44 | 21 | 11 | 12 | 65:54 | 74 |
| დერბი | 44 | 21 | 10 | 13 | 66:53 | 73 |
| ვესტ ჰემი | 44 | 20 | 10 | 14 | 63:53 | 70 |
| რედინგი | 44 | 19 | 13 | 12 | 49:39 | 70 |
| შეფილდი | 44 | 18 | 13 | 13 | 55:51 | 67 |
| მილუოლი | 44 | 17 | 11 | 16 | 50:45 | 62 |
| სტოკი | 44 | 17 | 10 | 17 | 36:36 | 61 |
| ვულვზი | 44 | 13 | 21 | 10 | 66:56 | 60 |
| ლიდსი | 44 | 14 | 17 | 13 | 49:50 | 59 |
| ქუინზ პარკი | 44 | 16 | 11 | 17 | 52:56 | 59 |
| ბარნლი | 44 | 14 | 14 | 16 | 36:39 | 56 |
| ლესტერი | 44 | 11 | 20 | 13 | 47:46 | 53 |
| პლიმუთი | 44 | 14 | 10 | 20 | 52:62 | 52 |
| კარდიფი | 44 | 12 | 14 | 18 | 46:50 | 50 |
| უოტფორდი | 44 | 11 | 16 | 17 | 50:57 | 49 |
| ქოვენთრი | 44 | 12 | 13 | 19 | 54:69 | 49 |
| ჯილინგემი | 44 | 12 | 12 | 20 | 42:63 | 48 |
| ქრიუ | 44 | 11 | 14 | 19 | 63:80 | 47 |
| ბრაიტონი | 44 | 12 | 11 | 21 | 38:64 | 47 |
| ნოტინგემი | 44 | 9 | 16 | 19 | 39:62 | 43 |
| როტერჰემი | 44 | 5 | 13 | 26 | 35:68 | 28 |

## შვედეთი

### ალსვენსკა III ტური

**გიოტებორგი 1:0 ჰამარბი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კალმარი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 7 |
| ჰელსინგბორგი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| მალმიო | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 6 |
| გიოტებორგი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:4 | 6 |
| ასირისკა | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 4 |
| სუნდსვალი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| იორგრიტე | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ჰალმსტადი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ჰამარბი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| იურგორდენი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | 4 |
| ჰეკენი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| ელფსბორგი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | 3 |
| ლანდსკრონა | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |
| გეფლე | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

## Copa Toyota Libertadores '2005

### ლიბერტადორესის თასი 2005

**პირველი ჯგუფი**

**V ტური**

**ინდეპენდიენტე (კოლუმბია) 2:0 ამერიკა (კოლუმბია)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო პარანენსე (ბრაზილია) | 5 | 3 | 1 | 1 | 8:7 | 10 |
| ამერიკა (კოლუმბია) | 5 | 3 | 0 | 2 | 7:6 | 9 |
| ინდეპენდიენტე (კოლუმბია) | 5 | 2 | 1 | 2 | 10:8 | 7 |
| ლიბერტადი (პარაგვაი) | 5 | 1 | 0 | 4 | 7:11 | 3 |

**მეშვიდე ჯგუფი**

**V ტური**

**კობრელოა (ჩილე) 2:0 სან ლორენსო (არგენტინა)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კობრელოა (ჩილე) | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 8 |
| გვადალახარა (მექსიკა) | 5 | 2 | 2 | 1 | 7:6 | 8 |
| ონსე კალდასი (კოლუმბია) | 5 | 1 | 3 | 1 | 5:4 | 6 |
| სან ლორენსო (არგენტინა) | 5 | 0 | 3 | 2 | 1:4 | 3 |

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **29 აპრილი** | | | | | | |
| 23:45 | 272 | აკადემიკა-ბოავიშტა | 2.35 | 3.1 | 2.85 | 1.33 | 1.28 | 1.48 |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 22:15 | 273 | ბენფიკა-ბელენენსეში | 1.3 | 4.6 | 8.0 | 1.01 | 1.11 | 2.92 |
| 19:00 | 276 | ჟილ ვისენტე-ლეირია | 1.9 | 3.0 | 3.8 | 1.16 | 1.26 | 1.67 |
| 19:00 | 278 | მოორეირენსე-ბეირა მარი | 2.05 | 3.3 | 3.2 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 23:45 | 279 | პორტუ-მარიტიმუ | 1.35 | 4.5 | 7.5 | 1.03 | 1.14 | 2.81 |
| 19:00 | 280 | სპორტინგი-რიო ავე | 2.15 | 3.0 | 3.2 | 1.25 | 1.28 | 1.54 |
| 19:00 | 281 | ნასიონალი-ესტორილი | 1.85 | 3.4 | 3.6 | 1.19 | 1.22 | 1.74 |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 23:30 | 275 | ბრაგა-სპორტინგი | 2.55 | 3.2 | 2.5 | 1.41 | 1.26 | 1.4 |
| | | **2 მაისი** | | | | | | |
| 23:30 | 277 | გიმარაეში-პენაფიელი | 1.6 | 3.5 | 5.0 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| | | **თურქეთი** | | | | | | |
| | | **29 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 296 | რიზე-ბეშიქთაში | 3.9 | 3.5 | 1.75 | 1.84 | 1.2 | 1.16 |
| 16:30 | 299 | ისტანბულსპორი-გაზიანტეპი | 2.1 | 3.3 | 3.1 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 293 | კაისერი-დენიზლი | 1.95 | 3.3 | 3.4 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| 17:00 | 294 | ანკარაგუჯუ-დიარბაქირი | 1.8 | 3.2 | 4.3 | 1.15 | 1.26 | 1.83 |
| 17:30 | 295 | სამსუნი-საკარია | 2.1 | 3.3 | 3.05 | 1.28 | 1.24 | 1.58 |
| 20:00 | 300 | ფენერბახჩე-ტრაბზონი | 1.75 | 3.4 | 4.0 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 291 | მალატია-გალათასარაი | 5.5 | 3.5 | 1.55 | 2.13 | 1.2 | 1.07 |
| 16:30 | 297 | კონია-ანკარა | 1.9 | 3.4 | 3.5 | 1.21 | 1.23 | 1.72 |
| 16:30 | 298 | სივასი-გენჩლერბირლიგი | 2.75 | 3.3 | 2.3 | 1.5 | 1.25 | 1.35 |
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 13:00 | 301 | მოსკოვი-ალანია | 1.45 | 3.6 | 6.0 | 1.03 | 1.16 | 2.25 |
| 13:00 | 302 | რუბინი-დინამო | 2.55 | 2.9 | 2.75 | 1.35 | 1.32 | 1.41 |
| 13:00 | 303 | სატურნი-ტომსკი | 1.55 | 3.4 | 6.0 | 1.06 | 1.23 | 2.17 |
| 13:00 | 304 | ტორპედო-კრილია | 1.8 | 3.0 | 4.5 | 1.12 | 1.28 | 1.79 |
| 13:00 | 305 | ზენიტი-ლოკომოტივი | 2.55 | 2.8 | 2.8 | 1.33 | 1.33 | 1.39 |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 13:00 | 306 | ამკარი-როსტოვი | 2.4 | 3.0 | 2.8 | 1.33 | 1.29 | 1.44 |
| 13:00 | 308 | სპარტაკი-ტერეკი | 1.45 | 3.6 | 6.0 | 1.03 | 1.16 | 2.25 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 310 | ლიბერეცი-დრნოვიცე | 1.45 | 3.7 | 6.5 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 19:00 | 311 | ბუდეიოვიცე-ოპავა | 1.85 | 3.2 | 3.8 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 19:00 | 314 | ზლინი-სლოვაცკო | 2.45 | 2.8 | 2.8 | 1.3 | 1.3 | 1.39 |
| 16:25 | 317 | სიგმა-სპარტა | 2.9 | 2.9 | 2.35 | 1.45 | 1.29 | 1.29 |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 19:00 | 312 | ბანიკი-მლადა ბოლესლავი | 1.6 | 3.5 | 4.8 | 1.09 | 1.2 | 2.02 |
| 19:00 | 315 | პლზენი-იაბლონეცი | 2.3 | 3.0 | 2.9 | 1.3 | 1.28 | 1.47 |
| 19:00 | 316 | პრიბრამი-ბრნო | 1.8 | 3.2 | 4.0 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| | | **2 მაისი** | | | | | | |
| 18:40 | 313 | სლავია-ტეპლიცე | 1.8 | 3.2 | 4.0 | 1.15 | 1.24 | 1.77 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 334 | ბრონდბიუ-რანდერსი | 1.25 | 5.0 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.21 |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 17:00 | 335 | ნორდშელანდი-მიდტიულანდი | 3.1 | 3.3 | 2.1 | 1.59 | 1.25 | 1.28 |
| 17:00 | 336 | ჰერფოლგე-ოლბორგი | 3.6 | 3.4 | 1.9 | 1.74 | 1.24 | 1.21 |
| 17:00 | 337 | სილკებორგი-ოდენსე | 2.45 | 3.3 | 2.55 | 1.4 | 1.24 | 1.43 |
| 17:00 | 338 | ორჰუსი-ესბიერგი | 2.6 | 3.3 | 2.5 | 1.45 | 1.27 | 1.42 |
| 19:30 | 339 | ვიბორგი-კოპენჰაგენი | 3.2 | 3.3 | 2.05 | 1.62 | 1.24 | 1.26 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 356 | ლინი-მოლდე | 1.8 | 3.5 | 4.0 | 1.18 | 1.24 | 1.86 |
| 20:00 | 357 | სტარტი-ვიკინგი | 2.4 | 3.3 | 2.65 | 1.38 | 1.25 | 1.46 |
| 20:00 | 358 | ტრომსე-ვალერენგა | 2.7 | 3.2 | 2.4 | 1.46 | 1.27 | 1.37 |
| 20:00 | 359 | ბოდოე გლიმტი-ჰამარი | 2.35 | 3.3 | 2.7 | 1.37 | 1.25 | 1.48 |
| 20:00 | 360 | ფრედრიკშტადი-ოდ გრენლანდი | 2.15 | 3.3 | 3.0 | 1.3 | 1.25 | 1.57 |
| 22:05 | 361 | ლილესტრომი-როზენბორგი | 3.3 | 3.2 | 1.95 | 1.62 | 1.22 | 1.21 |
| | | **2 მაისი** | | | | | | |
| 21:00 | 362 | ალესუნდი-ბრანი | 3.0 | 3.3 | 2.1 | 1.57 | 1.23 | 1.28 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 363 | სტაბეკი-ალტა | 1.3 | 5.0 | 7.5 | 1.03 | 1.1 | 3.0 |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 364 | ბრინი-სტრომსგოდსეტი | 1.8 | 3.8 | 3.5 | 1.22 | 1.18 | 1.82 |
| 20:00 | 365 | ჰაუგესუნდი-მოსი | 1.85 | 3.7 | 3.35 | 1.23 | 1.19 | 1.75 |
| 20:00 | 366 | კონგსვინგერი-ფილი | 1.55 | 4.2 | 4.5 | 1.13 | 1.15 | 2.17 |
| 20:00 | 367 | ლოვ ჰამი-სოგნდალი | 4.5 | 4.5 | 1.5 | 2.25 | 1.12 | 1.12 |
| 20:00 | 368 | პორს გრენლანდი-ტონსბერგი | 2.3 | 3.8 | 2.5 | 1.43 | 1.19 | 1.5 |
| 20:00 | 369 | სანდეფიორდი-ჰოდი | 1.45 | 4.2 | 5.3 | 1.07 | 1.13 | 2.34 |
| 20:00 | 370 | სკეიდი-მანდალი | 2.4 | 4.0 | 2.35 | 1.5 | 1.18 | 1.48 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 19:00 | 375 | გეფლე-ჰაკენი | 2.3 | 3.3 | 2.8 | 1.35 | 1.26 | 1.51 |
| 19:00 | 376 | ჰალმსტადი-კალმარი | 1.85 | 3.4 | 3.7 | 1.19 | 1.23 | 1.77 |
| 19:00 | 377 | ორგრიტე-სუნდსვალი | 1.95 | 3.3 | 3.4 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| | | **2 მაისი** | | | | | | |
| 21:00 | 378 | ლანდსკრონა-გეტებორგი | 3.1 | 3.3 | 2.05 | 1.59 | 1.23 | 1.26 |
| 21:00 | 379 | მალმე-ჰელსინგბორგი | 2.6 | 3.3 | 2.5 | 1.45 | 1.27 | 1.42 |
| 21:00 | 380 | ელფსბორგი-ჯურგარდენი | 2.4 | 3.3 | 2.7 | 1.38 | 1.27 | 1.48 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 18:00 | 382 | აიკ-ვესბი | 1.45 | 4.2 | 5.3 | 1.07 | 1.13 | 2.34 |
| 18:00 | 383 | ისტადი-ბრომაპოიკარნა | 1.8 | 3.5 | 3.8 | 1.18 | 1.22 | 1.82 |
| 18:00 | 384 | ტრელებორგი-ნორჩეპინგი | 2.5 | 3.4 | 2.45 | 1.44 | 1.23 | 1.42 |
| 18:00 | 385 | ვესტერასი-მიალბი | 2.05 | 3.4 | 3.1 | 1.27 | 1.23 | 1.62 |
| 18:10 | 386 | ატვიდაბერგი-ორებრო | 3.0 | 3.4 | 2.1 | 1.59 | 1.23 | 1.29 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **28 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 387 | ჰაკა-კუპსი | 1.4 | 3.8 | 7.0 | 1.02 | 1.16 | 2.46 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 388 | ჰჯკ-მიპა 47 | 1.45 | 3.6 | 6.0 | 1.03 | 1.16 | 2.25 |
| 20:00 | 389 | ინტერი-ალიანსი | 2.35 | 3.3 | 2.6 | 1.37 | 1.23 | 1.45 |
| 20:00 | 390 | ტპს-ტამუ | 2.5 | 3.3 | 2.45 | 1.42 | 1.31 | 1.4 |
| 20:00 | 391 | ლახტი-მიკა | 2.45 | 3.2 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 20:00 | 392 | მარიეჰამნი-როვანიემი | 1.85 | 3.2 | 3.7 | 1.17 | 1.23 | 1.71 |
| 20:00 | 393 | ტამპერე-იარო | 1.5 | 3.5 | 5.8 | 1.04 | 1.19 | 2.18 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **29 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 394 | უოტერფორდი-სტ. პატრიკსი | 2.05 | 3.0 | 3.45 | 1.21 | 1.28 | 1.6 |
| 22:45 | 395 | დროგედა-ბოჰემიანსი | 1.9 | 3.2 | 3.6 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 22:45 | 396 | შელბორნი-კორკი | 3.1 | 3.1 | 2.1 | 1.54 | 1.25 | 1.25 |
| 22:45 | 397 | დუბლინი-დერი | 3.1 | 3.2 | 2.05 | 1.57 | 1.23 | 1.24 |
| 23:00 | 398 | შემროკი-ბრეი | 1.4 | 3.8 | 7.0 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 399 | ჰარპსი-ლონგფორდი | 2.85 | 3.0 | 2.3 | 1.46 | 1.27 | 1.3 |
| | | **იაპონია** | | | | | | |
| | | **28 აპრილი** | | | | | | |
| 14:00 | 400 | ნიიგატა-შიმიძუ | 2.05 | 3.1 | 3.2 | 1.23 | 1.24 | 1.57 |
| 14:00 | 401 | სერეზო-ჰიროსიმა | 2.3 | 3.1 | 2.8 | 1.32 | 1.26 | 1.47 |
| 14:00 | 402 | ტოკიო-კაშივა | 1.7 | 3.4 | 4.2 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 14:00 | 403 | იჩიჰარა-გამბა | 2.3 | 3.1 | 2.8 | 1.32 | 1.26 | 1.47 |
| 14:00 | 404 | ოიტა-ურავა | 2.3 | 3.1 | 2.8 | 1.32 | 1.26 | 1.47 |
| 14:00 | 405 | კავასაკი-იოკოჰამა | 2.95 | 3.1 | 2.2 | 1.51 | 1.26 | 1.28 |
| 14:00 | 406 | ნაგოია-ვერდი | 1.95 | 3.1 | 3.5 | 1.19 | 1.25 | 1.64 |
| 14:00 | 407 | ომია-ოიტა | 2.1 | 3.1 | 3.1 | 1.25 | 1.25 | 1.54 |
| 14:00 | 408 | კობე-კაშიმა | 3.6 | 3.2 | 1.9 | 1.69 | 1.24 | [illegible] |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **28 აპრილი** | | | | | | |
| 23:00 | 466 | პარმა-ცსკა | 2.3 | 3.1 | 3.0 | 1.32 | 1.3 | 1.52 |
| 23.15 | 467 | სპორტინგი-ალკმაარი | 1.6 | 3.4 | 5.8 | 1.08 | 1.25 | 2.14 |
| | | **საფრანგეთი. თასი** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 22:50 | 468 | სტრასბურგი-კანი | 2.2 | 3.0 | 3.15 | 1.26 | 1.29 | 1.53 |
| | | **როიალ ლიგა** | | | | | | |
| | | **28 აპრილი** | | | | | | |
| 22.35 | 475 | კოპენჰაგენი-მალმე | 1.85 | 3.3 | 3.7 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 22.35 | 573 | ვალერენგა ბრანი | 2.05 | 3.4 | 3.1 | 1.27 | 1.23 | 1.62 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **28 აპრილი** | | | | | | |
| 23:45 | 482 | სერო-სტ. ალიანსა | 1.65 | 3.3 | 4.7 | 1.1 | 1.22 | 1.93 |
| 23:45 | 483 | სპორტინგ კრისტალი-პალმეირასი | 2.05 | 3.3 | 3.0 | 1.26 | 1.21 | 1.57 |
| | | **ჩოგბურთი. კაცები. მიუნხენი. გრუნტი.** | | | | | | |
| | | **28 აპრილი** | | | | | | |
| 14:00 | 634 | ანდრეევი-არტურსი | 1.25 | 3.6 | | | | |
| 14:00 | 635 | მონფისი-ხრბატი | 1.3 | 3.4 | | | | |
| | | **ჩოგბურთი. კაცები. ესტორილი. გრუნტი.** | | | | | | |
| | | **28 აპრილი** | | | | | | |
| 13:00 | 638 | მათიე-ცეპელი | 1.15 | 4.6 | | | | |
| 14:00 | 639 | ფერერო-მოია | 1.7 | 2.0 | | | | |
| 14:00 | 640 | რობრედო-ვენტურა | 1.35 | 3.0 | | | | |

# შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 18466 | პარმა-ცსკა | 2.3 | 1.5 |
| 18467 | სპორტინგი-ალკმაარი | 1.5 | 2.4 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13466 | პარმა-ცსკა | 1.7 | 1.9 |
| 13467 | სპორტინგი-ალკმაარი | 1.7 | 1.9 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12466 | პარმა-ცსკა | 1.7 | 1.9 |
| 12467 | სპორტინგი-ალკმაარი | 1.7 | 1.9 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი ზარალდება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14466 | პარმა-ცსკა | 1.8 | 2.0 |
| 14467 | სპორტინგი-ალკმაარი | 1.35 | 2.45 |

## ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17466 | პარმა-ცსკა | 1.85 | 1.95 |
| 17467 | სპორტინგი-ალკმაარი | 1.85 | 1.95 |

## ფრის გარეშე (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16466 | პარმა-ცსკა | 1.6 | 1.95 |
| 16467 | სპორტინგი-ალკმაარი | 1.2 | 3.5 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15466 | პარმა-ცსკა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15467 | სპორტინგი-ალკმაარი | 3.0 | 2.8 | 2.0 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10466 | პარმა-ცსკა | 2.8 | 2.0 | 3.45 | 1.16 | 1.54 | 1.26 |
| 10467 | სპორტინგი-ალკმაარი | 1.95 | 2.0 | 5.0 | 1.0 | 1.4 | 1.42 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11466 | პარმა-ცსკა | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.5 |
| 11467 | სპორტინგი-ალკმაარი | 2.2 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |

# საქართველოს XV ჩემპიონატი

პირველი ფინალური წრე

# ორი ცხელი თამაში

— 27 აპრილი —

**ხ/კ თბილისი 22:21 ძარიშხალა**

**თბილისი:** სამარლანიშვილი (გაიტანა 9 გოლი), ჩაჩანიძე (5), გელაშვილი (3)

**ძარიშხალა:** საჯაია (5), ქირია (4), გელა არაბული (4)

**სტუ-შევარდენი 37:19 თელავი**

**სტუ-შევარდენი:** რუსია (15), ამირან ყიფიანი (5), ნადირაძე (4), ტალახაძე (4), კობახიძე (4)

**თელავი:** გიორგელაშვილი (9), ნატროშვილი (4), სვიმონიშვილი (2), ხარებაშვილი (2)

**საუ-მამული 44:25 ქუთაისი**

**საუ-მამული:** წიწივაძე (17), ცოტაძე (8), ხუციშვილი (5)

**ქუთაისი:** ჩუბინაშვილი (7), გობეჯიშვილი (4), ცერცვაძე (4)

**საქართველოს** ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში მიმდინარე კაც ხელბურთელთა ეროვნული პირველობის გუშინდელ პროგრამაში ორი „ცხელი" თამაში იყო. ჩემპიონობისთვის მებრძოლ „თბილისს" ოთქის არ უნდა გასჭირვებოდა ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სკოლის „ძარიშხალას" დამარცხება, მაგრამ კინაღამ პირიქით კი მოხდა — ბოლო წამებამდე გაურკვეველი იყო მატჩის შედეგი.

წინა დღის „თელავთან" ჩავლავების შემდეგ სკოლელები მოედანზე მობილიზებულები გავიდნენ და ისეთი შემართებით დაიწყეს, იტყოდით, სხვა გუნდიაო. ნაწილობრივ ეს თბილისელებზეც ითქმის, რომლებიც საპირისპიროდ, ზედმეტად დაჯერებულები ჩანდნენ, ცოტაც და ამისთვის დაისჯებოდნენ კიდეც.

„ძარიშხალამ" თავიდანვე ენერგიულად შეუტია და მეცხრე წუთისთვის ხუთი ბურთით დაწინაურდა — 7:2. ჩვეულ სტილში, შორიდან მაღალ ნახტომში შედეგიანად „ბომბავდა" მეტოქის კარს მიხეილ საჯაია, აქტიურობდნენ სწრაფი „ფრთები" — ირაკლი ქირია და გელა არაბული, დაცვაში კი გაურღვეველ კედლად იდგნენ ორმეტრიანები — ირაკლი სიგუა, შოთა გრიშიკაშვილი და ლევან ბერძენიშვილი. ხოლო თამაშს უნარიანად უძღვებოდა ვეტერანი იაგო ჩხაიძე.

კარგა ხანს ძარიშხლელთა უპირატესობა თვალსაჩინო იყო, მაგრამ „თბილისმა" თანდათან დაიწყო დაცვაში თამაში, შეტევისას სიზუსტემაც იმატა და ჩამორჩენა მინიმუმამდე შემცირდა, — 8:9, თუმც ტაიმი მაინც დათმეს — 9:11.

გარდატეხა შესვენების შემდეგ მოხდა. გამორჩეულად აქტიურობდა „თბილისის" მარჯვენაფრთელი კახა ჩაჩანიძე. ტაიმის დასაწყისში მან ოთხი გოლი გაიტანა და ჯერ გაათანაბრა ანგარიში, მეათე წუთზე კი თავისიანები პირველად გაიყვანა წინ — 15:14. ლევან გელაშვილმა და ლაშა სამარლანიშვილმა ორ-ორიც წაამატეს და სხვაობამ ხუთ ბურთს მიაღწია — 19:14. რვაწუთიან მონაკვეთში სკოლელებმა საკუთარ კარში ექვსი გოლი მიიღეს, თავად კი ერთიც ვერ გაიტანეს.

და მაინც, ასეთი ჩავარდნის მიუხედავად, ბიჭებს ხელები არ ჩამოუშვიათ, ბოლომდე იბრძოლეს და მოგებას თუ არა, ფრეს მაინც იმსახურებდნენ, მაგრამ საფინალო სასტვენამდე 11 წამით ადრე მეკარესთან პირისპირ გასულ ქირიას ნატყორცნი არჩილ გარიშვილმა მოიგერია და თბილისელებმა „ძვირფასი" ორი ქულა მოიპოვეს.

სატურნირო ცხრილს კვლავ უდგას სათავეში საქართველოს 14-გზის ჩემპიონი „სტუ-შევარდენი". ტექნიკოსთა სნაიპერმა ვლადიმერ რუსიამ გუშინ 15 ბურთი გაიტანა, დამაჯერებლად ლიდერობს მეგოლეთა სიას და ალბათ ბოლომდეც შეინარჩუნებს პირველობას, რადგან გიორგი გიგა მშვილდაძეს სულ ორი თამაში დარჩა ჩასატარებელი, ხოლო უახლოესი მდევარი, მამულელი გიორგი წიწივაძე ყოვას 45 ბურთით ჩამორჩება.

დღეს ჩემპიონატის მონაწილეები ისვენებენ, ხვალ კი ერთმანეთის შეხვდებიან „ხ/კ თბილისი" — „ქუთაისი", „სტუ-შევარდენი" — „ძარიშხალა" და „საუ-მამული" — „თელავი". თამაშები 12 საათზე დაიწყება.

**გია ახალაძე**

**სატურნირო ვითარება**

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 19 | 0 | 1 | +281 | 38 |
| თბილისი | 18 | 1 | 1 | +105 | 37 |
| ძარიშხალა | 12 | 1 | 7 | +55 | 25 |
| საუ-მამული | 11 | 1 | 8 | +194 | 23 |
| თელავი | 9 | 0 | 11 | -29 | 18 |
| ქუთაისი | 8 | 1 | 11 | -39 | 17 |



„სტუ-შევარდენი" ყველაზე მაღლა დაფრინავს





ოთარ ხმელიძე



მამუკა ტურაშვილი

# მტრულ-მეგობრული სერია

## თსუ და თუჯი კბილებს ილესავენ

რეგულარული ჩემპიონატი სამიოდ დღის წინ დასრულდა და დღეს უკვე პლეი ოფი იწყება. როგორც ხედავთ, შუალედი საკმაოდ ხანმოკლეა და გუნდებს სულის მოთქმის საშუალება თითქმის არა აქვთ. ისე კი, დასვენება არცაა საჭირო, რაკი სამეოთხედფინალო წყვილებში თითქმის ყველა გამარჯვებული წინასწარაა ცნობილი. ჩემპიონატის მოლიდერე ტრიო — „ავიმშენი" „სტუ-ჯეოსელი" და „დინამო" — სულ ღილინ-ღილინით გავა ნახევარფინალში, ხოლო თსუსა და თუჯის შეხლაზე წინასწარ ვერაფერს იტყვი.

გუშინ სწორედ ამ გუნდების წინასაპლეიოფო პრესკონფერენცია გაიმართა კაფე „მსოფლიო სპორტში", სადაც ფედერაციის პრესატაშე ზურაბ თალაკვაძემ საბოლოო საოლსტარო შემადგენლობაც გვამცნო...

**ირაკლი პერტაია**

**პრესკონფერენცია** „თუჯის" მთავარმა მწვრთნელმა ოთარ ხმელიძემ გახსნა:

„საინტერესო და დაძაბული ბრძოლაა მოსალოდნელი. თსუ საკმაოდ ძლიერი და დაბალანსებული გუნდია, რომელიც არაფერს არ დათმობს. ვფიქრობ, რომ ნახევარფინალში გასვლის კარგი შანსი გვაქვს. თსუ ჩვენი მეგობარი გუნდია, მაგრამ დათმობას, ცხადია, არც ერთი არ ვაპირებთ. ორივე ახალგაზრდული გუნდია და პლეი ოფში თამაშის გამოცდილების მქონე კალათბურთელებიც შედარებით ცოტანი არიან. გაიმარჯვებს ის, რომელიც უკეთ აუღებს ალღოს გადამწყვეტ მატჩებს. კარგი იქნებოდა, მოედნის უპირატესობა გვქონოდა, ასეთ შემთხვევაში ნახევარფინალში გასვლის უკეთესი შანსი ჩვენკენ იქნებოდა, მაგრამ რას ვიზამთ.

ტრავმის გამო ოთარ ფაიქრიძე დაგვაკლდება, ხოლო არჩილ ჟღენტს ოჯახური საქმეები აქვს მოსაგვარებელი და ვერც ის დაგვეხმარება. სამაგიეროდ, სხვები მწყობრში არიან. განსაკუთრებით დიდ იმედს ახალგაზრდებზე ვამყარებ."

თსუ-ს თავკაცმაც თქვა თავისი — მამუკა ტურაშვილი შედარებით ლაკონიური იყო...

„ვფიქრობ, შანსები თანაბარია იმის მიუხედავად, რომ ჩემს გუნდს მოედნის უპირატესობა აქვს. „თუჯი" ჩვენსავით, ახალგაზრდული გუნდია, რომელიც ბოლომდე იბრძვის და იოლად არაფერს თმობს. ჩვენ, ცხადია, მოგება გვინდა და ვნახოთ, რა გამოგვივა. სამწუხაროდ, გიორგი გაფრინდაშვილი დაგვაკლდება — მას ბარძაყის ტრავმა აქვს. რაც შეეხება სხვებს, ყველა მწყობრშია ეგაა, ზოგიერთი მთლად ოპტიმალურ ფორმაში ვერაა. ნუგზარ კოკოლიშვილს ამას წინათ მამა გარდაეცვალა და გუშინ სიმამრიც დაასაფლავა. მას ამის გამო რამდენიმე დღე გაუცდა, არ ვარჯიშობდა და სრულ მზადყოფნაში არაა. ვერც ირაკლი ბაქრაძეა ჯანზე, მაგრამ ეს ბიჭები მაინც დიდ სამსახურს გაუწევენ თსუ-ს."

ამ გუნდებს შორის გამარჯვებული ნახევარფინალში სავარაუდოდ „ავიამშენს" შეხვდება, რომელიც თავის მხრივ ალბათ იოლად დაძლევს სსაუ-ს ბარიერს. ჰოდა, ამაზე რომ დაეკითხნენ, რუსთაველთა მწვრთნელმა ცოტა გულნატკენმა დაიწყო საუბარი:

„ჩემპიონატის ლიდერები სამომავლო გეგმებზე ისე ლაპარაკობდნენ, თითქოს თსუ-ს ნახევარფინალში გასვლა განაღდებული ჰქონდეს. ნახევარფინალში „დინამოსთან" შებრძოლებას თსუ-სთან თამაში გვირჩევნიაო, დაახლოებით ასე ამბობდნენ. ამან ჩვენ გული დაგვწყვიტა, რადგან „თუჯს" არ მიიჩნევენ თსუ-ს ღირსეულ მოწინააღმდეგედ. მაგრამ არაფერია, თუ გავიმარჯვებთ, ყველა გაჩუმდება. ჩვენ თუ გვკითხავთ, ნახევარფინალში მეტოქედ სწორედ „ავიამშენი" გვაძლევს ხელს და ამას მარტივი ახსნა აქვს. სტუ-ში რუსთაველები — რამაზ გოგობერიშვილი და ირაკლი ჯაფარიძე თამაშობენ, რომლებსაც არაერთი ქომაგი ეყოლებათ, „ავიამშენს" კი არავინ უგულშემატკივრებს რუსთავში".

„ავიამშენი" ურჩევნია თსუ-ს მწვრთნელ მამუკა ტურაშვილსაც, მაგრამ რატომ, ამას ღიად არ აკონკრეტებს...

ახლა კი დაპირებულ საოლსტარო შემადგენლობასაც წარმოგიდგენთ, რომელიც მთლიანად ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგად შეირჩა. არადა, ადრე დაიგეგმა, რომ შერჩევაში მწვრთნელებიც მიიღებდნენ მონაწილეობას, მაგრამ არა — მხოლოდ ოლ სტარში მონაწილე გუნდების მწვრთნელებს მიეცათ არჩევის უფლება და ისიც სამსამი მოთამაშის.

მაშ ასე, ქვემოთ წარმოგიდგენთ იმ ორი გუნდის შემადგენლობას, რომლებიც 28 მაისს ერთმანეთს ქართულ ოლ სტარში შეხვდებიან. აქვე გთავაზობთ კალენდარსაც.

### პირველი გუნდი

**დამწყები ხუთეული:** რამაზ გოგობერიშვილი, გიორგი მარკოიშვილი, ირაკლი ჯაფარიძე (ყველა სტუ), შიო ხეცურიანი, ლაშა გამყრელიძე, (ორივე დინამო).

**სამარქაფოები:** ირაკლი კეიდია, ირაკლი შანიძე, დავით ბერიშვილი (ყველა სტუ), ვალერი კილაძე, ლექსი ლაფანაშვილი, ნიკა ჩხატარაშვილი (ყველა დინამო), ნიკა მეტრეველი (სსუ)

**მთავარი მწვრთნელი:** ნუგზარ ჭეიშვილი (სტუ)

**ასისტენტი:** ზურაბ ტომარაძე (დინამო)

### მეორე გუნდი

**დამწყები ხუთეული:** ირაკლი ხოშტარია, თორნიკე ნინიაშვილი, კახა შენგელია (ყველა ავიამშენი), გიორგი მარხვაშვილი, მიხეილ ფანჩულიძე (ორივე თსუ)

**სამარქაფოები:** ნუგზარ კოკოლიშვილი, მიხეილ ბერიშვილი, ირაკლი მაისურაძე (ყველა თსუ), დავით თორთლაძე, გიორგი ნიკოლაძე, დავით ბერძენიშვილი (ყველა ავიამშენი), გივი ვაშაკიძე (მაკაბი).

**მთავარი მწვრთნელი:** ლევან მოსეშვილი (ავიამშენი)

**ასისტენტი:** მამუკა ტურაშვილი (თსუ)

### პლეი ოფი მეოთხედფინალი

28 აპრილი. ხუთშაბათი

| | |
|---|---|
| სტუ — ბურჯი | 12.00 |
| თსუ — თუჯი | 14.00 |
| დინამო — მაკაბი | 16.00 |
| ავიამშენი — სსუ | 18.00 |

29 აპრილი. პარასკევი

| | |
|---|---|
| ბურჯი — სტუ (თბილისში) | 14.00 |

30 აპრილი. შაბათი

| | |
|---|---|
| მაკაბი — დინამო | 12.00 |
| სსუ — ავიამშენი | 14.00 |
| თუჯი — თსუ | 17.00 |

საჭიროების შემთხვევაში

3 მაისი. სამშაბათი

| | |
|---|---|
| ავიამშენი — სსუ | 12.00 |
| თსუ — თუჯი | 14.00 |
| სტუ — ბურჯი | 16.00 |
| დინამო — მაკაბი | 18.00 |

# NBA PLAY OFF 2005

# გახსოვდეთ ზო
## ალონზო მურნინგმა გაიღვიძა




26 აპრილი

### აღმოსავლეთი

მაიამი 2:0 ნიუ ჯერსი

**მაიამი 104:87 ნიუ ჯერსი**

**მაიამი:** უეიდი (17 ქულა, 10 პასი, 6 მოხსნა), დ. ჯონსი (14), ე. ჯონსი (14), ჰეისლიპი (6), ონილი (14 ქულა, 10 მოხსნა); მურნინგი (21 ქულა, 9 მოხსნა), დულინგი (10), ბატლერი (2), ანდერსონი (2), დოლკი (2)

**ნიუ ჯერსი:** კიდი (10), კარტერი (21), სკალაბრინი (1), კოლინზი, კრსტიჩი (27); ჯეფერსონი (14), ბესტი (9), რობინსონი (5), სმიტი, ბაფორდი, პლანინიჩი

ნიუჯერსელები ისე გადაჰყვნენ შაკილ ონილის დევნას, რომ სულ დაავიწყდათ, „მაიამიში" საშიში და სადევნო სხვაც ბევრია. ამ შემთხვევაში დუეინ უეიდს ან წყეილ ჯონსებს არ ვგულისხმობთ, ალონსო მურნინგზე მოგახსენებთ, რომელიც სხვებმა კი არა, ლამის თავისიანებმა მიივიწყეს, და არცთუ უსაფუძვლოდ. რაც მურნინგი „ნიუ ჯერსიდან" „მაიამიში" გადაბარგდა, ხეირიანი ბევრიც არაფერი გაუკეთებია. მისი სეზონის რეკორდის, 11 ქულის ხსენება სამარცხვინოც კია, „ნიუ ჯერსისთან" სერიის მეორე შეხვედრაში კი ზო ერთბაშად გამოცოცხლდა.

ნიუჯერსელმა „ბადეებმა" კვლავ მარჯვედ შებოჭეს დევშაკი. უფრო მეტიც, პირტიტველა სერბმა ახალბედამ ნენად კრსტიჩმა ლამის მასხრად აიგდო და მასზე ორჯერ მეტი ქულა გააკეთა, მაგრამ კნაჭა ევროპელისგან ჩაგრულ დევკაცს მეორე დევი წამოეშველა, ხოლო ონილს და მურნინგს ერთად ველარ მოერია კრსტიჩი.

შეცვლაზე შემოსული მურნინგი აქტიურად ჩაერთო შეხვედრაში და დაცვაშიც და შეტევაშიც სიქა გააცალა მაღალ სტუმრებს — მხოლოდ 16 წუთი იბურთავა და სეზონში უმეტესი, 21 ქულაც მიითვალა. ულაპარაკოდ მეტს მოაგროვებდა, თუმც სწრაფად აკრიფა პერსონალურები, ექვსი შეაგროვა და მაყურებლებში გაერია. მისი გაგდება მაინც მოახერხა კრსტიჩმა, თუმც რაღა დროს, პირველი ტაიმის 9 ქულით მოგების შემდეგ, „მაიამიმ" მურნინგის წყალობით 28:20 იძალა მესამე მეოთხედში და დასკვნით 12-წუთეულში აუღელვებლად ჩაამთავრა შეხვედრა.

მომდევნო ორ მატჩს „ნიუ ჯერსი" მასპინძლობს.

დეტროიტი 2:0 ფილადელფია

**დეტროიტი 99:84 ფილადელფია**

**დეტროიტი:** ბილაფსი (20), ჰამილტონი (23), პრინსი (14), რ. ვოლესი (15), ბ. ვოლესი (5 ქულა, 10 მოხსნა); მაკდაიესი (12), ჰანტერი (6), აროიო (2), ჰემი (2), მილიჩიჩი, დიუპრე

**ფილადელფია:** აივერსონი (19 ქულა, 10 პასი), იგუდალა (6), კორვერი (8), ვებერი (15), დალემბერტი (14 ქულა, 11 მოხსნა); გრინი (11), ჯექსონი (9), მაკკი (2), დევისი, სალმონსი

„მაიამის" დარად, მეორე აღმოსავლელი ფავორიტი, „დეტროიტიც" იოლად უმკლავდება პირველ მეტოქეს. „ფილადელფიამ" ვერც ამჯერად მოუხერხა რამე ჩემპიონებს და ისევ უიმედოდ წააგო. მატჩის ყველაზე თვალშისაცემი ფიგურა კვლავ დეტროიტელი რაშად ვოლესი გახლდათ, რომელიც პირველ ტაიმში მოედანზე უაზრო ბოდიალით იპყრობდა ყურადღებას, მესამე მეოთხედის დასაწყისში კი მსაჯთან საქმის გარჩევისთვის ტექნიკური მიიღო (228-ე ტექნიკური კარიერაში) და მერე ისე აბურთავდა, მტერს და ავს.

„რაშიდი ამით ცხოვრობს — ამბობს მისი თანაგუნდელი ჩონსი ბილაფსი — ის თავისთავად შეგნებულად არ ცდილობს ტექნიკურის მიღებას. ასე თქვათ, თავისის გამოსდის, მერე კი უფრო იმუხტება და ყველაფრის წალეკვა შეუძლია. ცხადია, ჩვენ გულზე არ გვეხატება, ის რომ ამდენ ტექნიკურს იღებს, მაგრამ ძალიანაც მოგვწონს მისი თამაში ამის შემდეგ."

ვოლესმა ტექნიკურის შემდეგ, როგორც სჩვევია, ასეზის უკეთ ითამაშა და თავისი 15 ქულიდან 11 სწორედ მესამე მეოთხედში მოიხვეჭა. შეხვედრის ბედიც აქ გადაწყდა. ბოლო მეოთხედის დასაწყისში „დეტროიტმა" 20 ქულით ჩამოიტოვა „ფილადელფია" და უკვე წაგებული გუნდის ხელჩაქნეულმა თავკაცმა ჯიმ ობრაიენმა ლიდერებს აღარც ჩაამთავრებინა თამაში. ყოველმხრივ უარყოფითი საღამო ცუდად დამთავრდა ფილადელფიელებისთვის. მათ ისედაც თავვერგამოჩენილ ლიდერ ალენ აივერსონს თამაშის ბოლოს ტრიბუნიდან ნასროლი მონეტა მოარტყეს თავში.

### დასავლეთი

სიეტლი 2:0 საკრამენტო

**სიეტლი 105:93 საკრამენტო**

**სიეტლი:** რიდნორი (6), ალენი (26), ლუისი (12), ევანსი (4), ჯეიმსი (19); რადმანოვიჩი (10), დანიელსი (9), კოლისონი (8), ფორტსონი (8), უილკინსი

**საკრამენტო:** ბიბი (16), მობლი (9), სტოიაკოვიჩი (9 ქულა, 10 მოხსნა), ტომასი (6), მილერი (6); ჯექსონი (17), სონგაილა (9), ჰაუსი (9), ევანსი (5), სკინერი (4), უილიამსონი (3), ოსტერტაგი

სანამ პლეი ოფი დაიწყებოდა, „საკრამენტოს" ჩამოწერა თავისთავად არავის უცდია, მით უმეტეს, პლეი ოფის დებიუტანტ „სიეტლთან", მაგრამ ასე უსუსურად და უსახელოდ თუ მოილევდა პირველ ორ მატჩს, ამას ნაღდად არავინ ელოდა.

„აზრზე ვერ მოვდივარ, რა დაგვემართა. არც შეტევა, არც დაცვა..." — ამბობდა ნამატჩევს „საკრამენტოს" პირველმექულე პრედრაგ სტოიაკოვიჩი. სხვა თანაგუნდელებთან ერთად სერბმა ბომბარდირმაც შეირცხვინა თავი, 10 სროლიდან მხოლოდ 3 უწია მეტოქის კალათს და 32 წუთში 9 ქულა იკმარა. „კინგზის" მწვრთნელ რიკ ადელმანს ყველაზე ნაკლები სასაყვედურო მაიკ ბიბისთან და ბობი ჯექსონთან ექნებოდა — მხოლოდ მათ მოინაგრეს 10 ქულაზე მეტი, მაგრამ მისმა გუნდმა ისე უხეიროდ ითამაშა, ადელმანი ნამდვილად არ დაიწყებდა თავის შეგირდთა შორის იშვიათი გამონაკლისების გამორჩევას. „საკრამენტომ" პირველი მეოთხედი 22:26 დათმო, მეორე — 22:29, მესამე კი — 18:33. მეოთხეშილა მოახერხა ცოტა ფერზე მოსვლა და საბოლოოდ ისლა შეძლო, განადგურებას გადაურჩა.

სიეტლელთაგან კი რეი ალენის მხარდამხარ კვლავ გამოირჩა აყლაყუდა ჯერომ ჯეიმსი, რომელმაც თამაში პლეი ოფშილა ისწავლა და ახლა 19 ქულა მიაშველა თავისიანებს.

**ბოტე ყორშია**

# დეტროიტელებმა გული გაიწაფეს
## აივერსონს თავში მონეტა მოხვდა

**დეტროიტში** თამაში სახიფათო ხდება სტუმარი გუნდებისთვის რაღა იქაურ „პისტონზის" დარბაზი „ობურნ ჰილზი" და რაღა ჩვენი ეროვნული სტადიონი. ისე მიჩვეულნი დეტროიტელი ფანები ტრიბუნებიდან საგნების სროლას, რომ ნბა-ს კომისარ დევიდ შტერნს ალბათ სულ მალე მოუწევს თავისი უსაზღვრო ძალაუფლების გამოყენება და კლუბის ან დარბაზისთვის სანქციის გამოწერა.

სეზონის დასაწყისში, შარშან შემოდგომას მომხდარი ინციდენტი ჯერ არავის დავიწყებია — როგორ სთხლიშა ერთმა ადგილობრივმა მაყურებელმა ინდიანელ რონ არტესტს ლუდით სავსე მუყაოს ჭიქა, რამაც ინდიანელ მოთამაშეებსა და დეტროიტელ ფანებს შორის ხელჩართული დაკა-დაკა გამოიწვია.

ახლა, „ფილადელფია სიქსერზთან" სამშაბათის შეხვედრაში, კიდევ ერთმა ვაი-გულშემატკივარმა გამოიჩინა „პისტონზის" მოთამაშეებზე არანაკლები სიზუსტე და სტუმართა ლიდერ ალენ აივერსონს თავში მონეტა გაარტყა. პოლიციამ იოლად დააკავა ხელჩუბინი ხურდასროლია, რომელიც 31 წლის ვინმე ჯონ ტეილორია.

ამ ინციდენტს წინას მსგავსი არაფერი გამოუწვევია. არტესტისგან განსხვავებით, აივერსონი ტრიბუნაზე არ ავარდნია შეურაცხმყოფელს და მატჩიც წყნარად ჩამთავრდა, თუმც, თქმა არ უნდა, ნბა-ს დისციპლინარები ამ საქმეს ასე არ დატოვებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნბა-ს ვარსკვლავის პროლეტარული თვითშეწირვა

*ჩინელი კალათბურთელი იაო მინგი, რომელიც ამერიკაში ცხოვრობს და ნბა-ში თამაშობს, თავის სამშობლოში წამოაყენეს „სანიმუშო მუშის" წოდების მომპოვებელთა შორის. თუმცა, ყველა მისი თანამემამულე არ იზიარებს ამგვარ გადაწყვეტილებას*

**„სპორტის** ვარსკვლავები ხალხისთვის საუკეთესო მაგალითს სრულიადაც არ წარმოადგენენ — ამბობს ასოშიეიტედ პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში პეკინის უნივერსიტეტ ყუნმენის სოციოლოგიის პროფესორი ჩიჟოუ სიაო ჩუჟენი — იმ კრიტერიუმებით, რომელიც წინათ იყო მიღებული, „სანიმუშო მუშის" წოდება უბრალო მშრომელებს უნდა მიენიჭოთ".

იაო კი არანაირ იმგვარ კრიტერიუმში არ ჯდება.

იაოს სიმაღლე 229 სანტიმეტრია, მისი სპორტული ვარსკვლავი 2002 წელს ამობრწყინდა, როცა მას ნბა-ში კონტრაქტი შესთავაზეს. ახლა იგი „ჰიუსტონ როკეტსის" გუნდში ბრწყინავს.

საპატიო წოდებისთვის ამ სპორტსმენის კანდიდატურა მარტში წამოაყენა ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ იმ დროს, როცა ასეთ სახელს, ჩვეულებრივ, ანიჭებენ მალაროელებს, მასწავლებლებს, ფაბრიკათა მუშებს, რომლებიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პროპაგანდის შედეგად უმალ სახელგანთქმულნი ხდებიან.

მიუხედავად ამისა, ეს კალათბურთელი ასეთივე წოდებით უკვე ორჯერ დააჯილდოვეს, ოღონდ თავისი მშობლიური შანხაის ადგილობრივ დონეზე.

როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, ჩინეთში ბევრია უკმაყოფილო იმით, რომ იაო, ისე როგორც 30-მდე ბიზნესმენი, ასეთი ტიტულის წოდების მისაღებად წარადგინეს. „სანიმუშო მუშის" მაღალი წოდება, მათი აზრით, სიმბოლო უნდა იყოს პროლეტარული თვითშეწირვისა.

სხვათა აზრით, ამ კალათბურთელმა სწორედ რომ თვითშეწირვით გამოიჩინა თავი, როცა ნბა-ში სეზონებშუა შესვენებისას შინ დაბრუნდა და ჩინეთის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა.

„იაოს მუშაობას ნბა-ში სარგებელი მოაქვს არა მხოლოდ მისთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის — ამბობს შანხაის ფუდანის უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორი ლუ ხაი — თავისი განუმეორებელი ოსტატობითა და გამოცდილებით იგი მთელი ჩინეთის ნაკრების სახელოვნად განაწყობს."

კამათი იმის თაობაზე, რომ შეიძლება თუ არა სპორტსმენები გამოაცხადონ მუშად, თანაც სანიმუშოდ, ეჭვგარეშეა, ზოგამდე გაგრძელდება, როცა პეკინში ამ მაღალი წოდების ლაურეატებს გამოაცხადებენ.

**ავთანდილ ტყვიშელი**











# ფიტნეს შოუ

## ახალი ხილი

## პირველად ბავშვებმა გასინჯეს

**ბოდიბილდინგი** საქართველოში სპორტის სახეობებიდან ერთ-ერთია რომელიც, დიდი პოპულარობით არ სარგებლობს. არც მისი ჩემპიონატებითა და შოუებით ვართ განებივრებულნი და აქამდეც მხოლოდ უცხოელი დაკუნთული სპორტსმენების ფოტოებს თუ შემოგთავაზებდით ხოლმე მცირე კომენტარებით. ამჯერად ქართველ ბოდიბილდერთა პირველ შოუზე გიამბობთ.

გუშინ თბილისის რკინიგზელთა სახლის დარბაზში სამმა მამაკაცმა და ერთმა ქალმა სპორტსმენმა წარმოაჩინეს თავიანთი შესაძლებლობები. სამხედრო ფორმაში გამოწყობილთა თითოეულ მოძრაობას გვარიანი ოვაციები მოჰყვებოდა და შოუს წამყვანიც დარბაზში მსხდომ ბავშვებს ბოდიბილდერების შემთხვევაში დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა, მაგალითად კი სტალონესა და შვარცენეგერის აწყობილი ცხოვრება მოჰყავდა.

შოუ საქველმოქმედო იყო. ბოდიბილდინგისა და ფიტნესის ეროვნული ფედერაციის ინიციატივა ფინანსურად საქართველოში მოღვაწე ქველმოქმედმა ორგანიზაციამ UTAH GROUP-მა უზრუნველყო და დარბაზში კოჯრის ბავშვთა სახლის აღსაზრდელები მიიწვია.

„ჩვენი ჯგუფის მიზანი საქართველოს უკეთეს მომავალში წვლილის შეტანაა — გვითხრა ორგანიზაციის კანადელმა პრეზიდენტმა მუნა ფილინმა — მომავალი თაობისთვის მსგავსი საჩუქრების გაკეთებაც ამიტომ გადავწყვიტეთ. გვინდა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში დაგეხმაროთ".

კოჯრის ბავშვთა სახლის აღსაზრდელების ერთმა ნაწილმა ბოდიბილდინგზე ვარჯიში გადაწყვიტა, ნაწილმაც კარატე ირჩია. კახაბერ კაკაბაძის გაწვრთნილმა კიოკუშინ კაი კარატეს მიმდევარმა ბავშვებმა სცენაზე ისეთი ამბები დაატრიალეს, თანატოლები კი არა, ასაკოვანი მაყურებლებიც აღაფრთოვანეს. ლამის საკუთარ წონაზე მძიმე სამშენი მასალა მუშტით თუ თავით ამტვრიეს, თან ამას ქართული საცეკვაო მელოდიების თანხლებით, საოცარი სინქრონულობით ასრულებდნენ.

შოუს ბოლო ნაწილი შედარებით სევდიანი იყო. სცენა კოჯრელებს დაეთმოთ და ყველაზე მხურვალე ოვაციებიც მათ ერგოთ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**ბადრი ქეთილაძის** *ფოტოები*

ჰოკეი

# ყინულზე გაშხლართულს ტვინის გაჰყინვია



**კაროლინ** მერსილს ეს დღე არასოდეს დაავიწყდება. როგორია, ასეთი პატივი გერგოს და თავი შეირცხვინო. კანადისა და აშშ-ს ნაკრებებს, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადებიან, მნიშვნელოვანი საკონტროლო მატჩი ჰქონდათ. შეხვედრა კანადის ქალაქ კვებეკში გაიმართა.

მოგეხსენებათ, ჩრდილო ამერიკაში ნაციონალური ნაკრებების ნებისმიერი თამაშის წინ ამ ქვეყნების ჰიმნებს ასრულებენ. ჰოდა, ამ ჩვენს კაროლინს აშშ-ს ჰიმნის შესრულებისას, არც მეტი, არც ნაკლები, სიტყვები დაავიწყდა. 24 წლის ქალბატონმა ხელმეორედ სცადა, მაგრამ იმავე ადგილას წაიბორძიკა. საბრალო კაროლინმა სწრაფად დატოვა ყინული, რათა სიტყვები გაეხსენებინა. რამდენიმე წუთში მერსილი კვლავ გამოჩნდა, მაგრამ, ეტყობა ამ დღეს აშშ-ს ჰიმნს შესრულება არ ეწერა. როგორც კი კაროლინმა ყინულზე გასვლა სცადა, ფეხი გაუსრიალდა და „მეხუთე წერტილზე" გაიშხლართა. ამის შემდეგ მერსილს ბედი აღარ უცდია და თამაში ჰიმნების შეუსრულებლად გარეშე დაიწყო.

აღსანიშნავია, რომ მერსელი სპეციალურად იყო არჩეული მისიის შესასრულებლად მას შემდეგ, რაც ჩინებულად იმღერა აშშ-ს ჰიმნი ეი-ბი-სი-ს „გუდ მორნინგ, ამერიკა"-ს შოუში. როგორც თავად მომღერალმა განმარტა, შეცდომა ნერვიულობის გამო მოუვიდა.

„ყველაფერი ერთად დამაწვა, ემოციები, სტრესი, მაყურებელთა ხმაურმა კი მთლად დამაბინია" — თქვა მერსილმა.

საინტერესოა, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის. კანადაში აშშ-ს ჰიმნის შესრულებისას ყოველთვის ხმაურია.

# ჰოლანდიელები ფორმასაც გვიქებენ

## ხვალ ქართველთა ცამეტკაცა ჰოლანდიელებს სამეფო გერბსაც გააცნობს

**გუშინდელ „სარბიელში“ წაიკითხავდით ევროპის ლიგის რაგბის საიტზე გამოქვეყნებული სტატიის გადმოქართულებულ ვარიანტს, რომელიც ჰ ოლანდია-საქართველოს მომავალ დაპირისპირებაზე მოგვითხრობდა.**
**26 აპრილს საქართველოს ახალდაარსებულმა ნაკრებმა წინასამატჩო პრესონფერენციაზე გუნდის მაისურა წარადგინა და ამის შესახებ ცალკე სტატიაში გამცნეთ.**
**როგორც ჩანს, WWW. RLEF. EU.COM-ს არც ეს ფაქტი დარჩენია უყურადღებოდ და სასწრაფოდ ახალი სტატიაც გამოცხვა, რომელიც სწორედ ჩვენუბრთა გუნდის ფორმის განხილვას ეძღვნება.**
**ჩვენც რაღა დაგვრჩენია, ამ სტატიასაც გთავაზობთ:**



**ქართველი** მოთამაშეები, რომლებიც ისედაც აღტკინებულნი არიან საერთაშორისო დებიუტის წინ, რომელიც პარასკევს ჰოლანდიასთან ელით, უფრო შემართა იმ გარემოებამ, რომ ოფიციალურად დამტკიცდა მათი სათამაშო ფორმა.

მაისურა სახელმწიფო დროშის ფერებისა და სიმბოლიკის მიხედვითაა გადაწყვეტილი და მან უკვე დიდი რეზონანსი გამოიწვია გუნდში, რომელიც მზადაა, საკუთარი სიძლიერე დაუმტკიცოს ევროპას.

ნოდარ ანდღულაძე, საქართველოს ლიგის რაგბის მოქმედი მოთამაშე და ასევე ფედერაციის ერთ-ერთი წამყვანი მაღალჩინოსანი ფორმის შესახებ ამბობს:

„ჩვენი დროშა ინგლისისას წააგავს, განსხვავება კი ისაა, რომ კუთხეებში 4 ქართული ჯვარია განთავსებული. მაისურის თეთრ ზოლში ჩვენი ქვეყნის სამეფო გერბი. მისი მაისურაზე დართვის კურთხევაც ოფიციალურად გვაქვს მიღებული ბაგრატიონთა სამეფო ოჯახისგან. ჩვენ ამ სიმბოლოს სიამაყით ვატარებთ. ფორმაზე ასევე გამოსახულია ჩვენი ფედერაციის სიმბოლო. მისი მოხაზულობა კავკასიური შევარდნის პროფილს ასახავს, ცისფერი კი ზღვისა და ცის აღმნიშვნელია.

ჩვენი აზრით, ფორმა ძალიან ლამაზია“.

**ლადო ფულუძიძე**







მიშელ ვი OPEN-ში მონაწილეობის პრეტენდენტია

# კაცებს ქალები მისდგომიან

## უძველესი მეგოლფეთა ვაჟთა ტურნირი ქალებისთვისაც გაიღო

**მსოფლიოში** უძველესი და უპოპულარეს მეგოლფეთა ტურნირი OPEN, რომელსაც „სამეფო და უძველესი საგოლფე კლუბი“ ყოველწლიურად ატარებს, აქამდე მონაწილე ქალთათვის დახურული იყო, ახლა კი მან კარი გაუღო მშვენიერთა სქესის წარმომადგენლებსაც. მისი ორგანიზატორები მსოფლიოს გოლფის ქალთა საკითხებზე რამდენიმე თვის განმავლობაში ფიქრობდნენ და ბჭობდნენ. ბოლოს, ბევრი სჯა-ბაასის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ მომავალი წლიდან ტურნირში მონაწილეთათვის საგანაცხადო ტექსტიდან ამოიღონ სიტყვები „მხოლოდ ვაჟებისთვის“. თუმცა, ქალებს მეგოლფეთა OPEN-ში მონაწილეობა იმ სიტყვების ამოღებამდეც შეეძლებათ, თუ წარმატებით გამოვლენ ერთ-ერთ წინასწარ შეჯიბრებაში.

„არა მგონია, რომ ქალების მონაწილეობისთვის რაიმე პრობლემა იყოს — ამბობს „სამეფო და უძველესი კლუბის“ მეთაური პიტერ დოუსონი — მაგრამ ჩვენ ახლა უცხო და ბურუსით ტერიტორიაზე შევდივართ. ერთადერთი ოლიმპიური სახეობა, სადაც ქალები მამაკაცების მხარდამხარ გამარჯვებისთვის იბრძვიან, ეს ცხენოსნობაა. ამიტომაც გასაკვირი სულაც არაა, რომ გადაწყვეტილების მისაღებად ასე დიდი ბჭობა გაიმართა. ჩვენ არც გვიკითხია მოთამაშეთათვის, თუ რას ფიქრობენ ისინი ამ პრობლემაზე. გამოკითხვების ჩატარება. ჩვენი საქმე არაა, საბოლოო კონსესუსამდე მაინც ვერ მივალთ“.

ორი წლის წინათ მსოფლიოს საუკეთესო მეგოლფე ქალი, შვედი ანიკა სორენსტამი გახდა პირველი ქალი, ვინც 1945 წლის შემდეგ მონაწილეობა მიიღო ამერიკის ვაჟთა ტურნირში. მოგვიანებით მის მაგალითს მიბაძა ლორა დევისმაც, ვინც ევროპისა და ავსტრალიის საგოლფე ასოციაციათა ერთობლივ ტურნირში ითამაშა.

OPEN-ის ტურნირი პირველად გაიმართა 1860 წელს შოტლანდიის ქალაქ სენტ ენდრიუში. დანარჩენი სხვა სამი მთავარი ტურნირი — MASTERS, US OPEN და USPGA ამერიკაში ტარდება. OPEN ამერიკული სამეულისგან ძირითადად იმით განსხვავდება, რომ იგი მუდამ სანაპიროზე ტარდება. აქ მოთამაშეთა მთავარი მოწინააღმდეგე ქარია, სადაც გამარჯვებულს გადაეცემა ლეგენდარული ჯილდო, რომელსაც „კლარეტის ქოთანი“ ეწოდება.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



პიტერ დოუსონი



# დოკიჩი ისევ ანბანიდან დაწყებას აპირებს

**უკვე** რახანია, აღარაფერი გვსმენია ამქრის ოდინდელი მეოთხეადგილოსნის, მომხიბლავი და მკერდვიაგრა ელენა დოკიჩის შესახებ. საქმეში ჩახედულთ ალბათ გეხსომებათ, ის მხოლოდ 17 წლისა იყო, როცა 1999 წლის უიმბლდონობის პირველ წრეში ამქრის მაშინდელ პირველოსან მარტინა ჰინგისს მოუგო და საქალეთის სცენაზე შევარდა. მომდევნო წლებში ის განუხრელად მიიწევდა წინ და 2002-ში ზემონახსენებ მეოთხე სარეიტინგსიო საფეხურსაც უწია. მაგრამ მას შემდეგ ცალკერძ ტრავმების, ცალკერძ კიდევ ოჯახური პრობლემების გამო ამ დასტურ ნიჭიერ სერბგოგოს რამსები აერია და ამ კვირის დასაწყისში, სანამ ეშტორილობაზე ჩავიდოდა, ის უკვე რეიტინგსიის 444-ე (!) ადგილზე იდგა. ეშტორილობის პირველ წრეში კი უკრაინელი ალიონა ბონდარენკოსგან იძლია და საამმომენტოდ უკვე 450-ე ადგილზე გახლავთ. სწორედ ამ უკანასკნელი მარცხის მერე დოკიჩმა გადაწყვიტა, რომ ფორმასა და ზეპურ მარაქაში ხელახლა გასარევად საჭირო ფსიქოილაჯს ის მხოლოდ ჩელენჯერტურნირებზე გამოსვლით თუ დაიბრუნებს.

„მეტი გზა არ არის, შარშან სეზონი ზედიზედ ცხრა მარცხით დავასრულე, წლეულს კი მხოლოდ ორი მატჩის მოგება შევძელი. ახლა თითქმის ისევე ვთამაშობ, როგორც მაშინ, როცა 14 წლისა დიდ კორტზე პირველ ნაბიჯებს ვდგამდი. იმედია, დაბლიუტიეისთან შედარებით რანგით დაბალ შეჯიბრებებზე წარმატება თავდაჯერებულობის აღდგენაში დამეხმარება და სასურველ ფორმასაც დამაბრუნებინებს.“



# ევროპელებს მოსკოვში ამერიკელები და აზიელები უთვალთვალებენ

**გუშინ** მოსკოვის ოლიმპიურ აუზში დაიწყო ევროპის თასის გათამაშება სინქრონულ ცურვაში, სადაც უძლიერესი სპორტსმენები თავიანთ ახალ პროგრამებს პირველად წარმოადგენენ. ისინი სწორედ ამ პროგრამებით იასპარეზებენ ივნისში მონრეალში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე. სწორედ ამიტომაცაა, რომ მოსკოვში მიმდინარე შეჯიბრება არა მხოლოდ ევროპელთა, არამედ ამერიკის, იაპონიის, კანადისა და ჩინეთის წარმომადგენელთა ინტერესსაც იწვევს, რომლებიც ამ სახეობაში მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი ტონის მიმცემნი არიან.

მოსკოვში ამ ქვეყნებმა საგანგებოდ სპეციალური ოპერატორები მოავლინეს, რათა ფირზე აღბეჭდონ ევროპელთა გამოსვლა. მათ უწინარეს ყოვლისა, აინტერესებთ რუსებისა და ესპანელების გამოსვლები, რომლებიც ფავორიტები არიან. ისინი ფავორიტები იქნებიან მსოფლიოს ჩემპიონატზეც, მათ შორის ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები, რუსები ანასტასია დავიდოვა და ანასტასია ერმაკოვა, რომლებმაც ამ წარმატებას „დუეტთა“ და ჯგუფურ კომბინირებულ ვარჯიშებში მიაღწიეს.

**ავთანდილ ჭყვიშელი**




AP ფოტოები

# თოვლი უდაბნოში

სამიროებში მალე ნამდვილი თოვლი იქნება. უდაბნოს ქვეყანაში თოვლის სასახლე შენდება და აქ არა მხოლოდ შეჯიბრებები გაიმართება, არამედ ყოველ არაბს შეეძლება, სათხილამურო სიჩაუქეში გაიწაფოს.



AP ფოტოები



# პროლოგის მომგები

დაიწყო რომანდის ტური, ექვსდღიანი შვეიცარიული ველორბოლა. პროლოგი ესპანელმა ოსკარ პერეირომ მოიგო. პოდა, ჯერჯერობით პირველია. თუმცა, პროლოგი ერთია, გზები კი სხვა.




AP ფოტოები



# ფიდელი მიდის, თამაში მოდის

ამ კუბელ ბიჭუნას მოკრიკეტეთა ჩაფხუტი მოურგია. ჰავანის გარეუბან გუანაბაკოაში კრიკეტი ილვიძებს. არც ამუნიცია აქვთ და არც საჭირო მოედანი, მაგრამ თამაშობენ. კუბაში კრიკეტი პირველად 1952 წელს ითამაშეს შაქრის პლანტაციების ვესტინდოელმა მუშებმა, ფიდელის გაბატონების შემდეგ კი ეს თამაში გაქრა. ახლა ფიდელი ნელ-ნელა მიდის, კრიკეტი კი მოდის.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანიტაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი, ლადო ხომერიკი, კახა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურიძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფიფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge